პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 273 (10667) | პარასკევი, 23 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი

მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებას „ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადადების შესახებ“.

საქართველოს მშრომელთა წინაშე დგას საპატიო ამოცანა — სერიოზული წვლილი შეიტანონ ჩვენს დიად ქვეყანაში ხალის სიუხვის შექმნის ამოცანის სასახელოდ გადაწყვეტაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა განიხილა საკითხი „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაწეულია ერთგვარი მუშაობა ვენახებისა და ბაღების ფართობების გასაადიდებლად და მოსავლიანობის ასამაღლებლად. უკანასკნელ სამ წელიწადში გაშენდა 6.500 ჰექტარი ვენახები და 7.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

ამ მხრივ შედეგები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, მაგრამ არასწორი დაგეგმვის შედეგად მთელი რიგი წლების მანძილზე მეტისმეტად ფართოვდებოდა მარცვლეული კულტურების ნათესები და ფერხდებოდა სახალხო მეურნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარება, როგორიც არის მევენახეობა და მებაღეობა.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში წლიდან წლამდე არ აღრულდება ბაღებისა და ვენახების მოსავლიანობის გეგმები. 1953-1954-1955 წლებში ყურძნის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე ქარელის რაიონში მიღებულია მხოლოდ 15,6 ცენტნერი, გარეუბნის რაიონში — 16,1 ცენტნერი, მცხეთის რაიონში — 18,7 ცენტნერი.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე რესპუბლიკაში ხეხილის მოსავლიანობის მხრივ. უფრო მოსავლიან — 1954 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი ხილი. ქარელის, კასპის, ტყიბულის რაიონების კოლმეურნეობებში, რომელთაც მებაღეობის განვითარების ხელსაყრელი პირობები აქვთ, გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მოყვანილია 4-6 ცენტნერი ხილი.

რა არის ყურძნისა და ხილის დაბალი მოსავლიანობის მიზეზი? უწინარეს ყოვლისა ის, რომ, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილებაში, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგებს. პარტიის ბევრი რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობის გამგეობა, საბჭოთა მეურნეობა და მტს-ის დირექტორი ღრმად არ სწავლობენ საქმის არსებით მდგომარეობას, სისტემატურად არ აქცევენ ყურადღებას მებაღეობისა და მევენახეობის საკითხებს, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ამ კულტურების მდგომარეობისათვის, რის შედეგად ვენახები და ბაღები თავმინებებულია, მოვლა-დამუშავება თავის დროზე არ სწარმოებს, ცოტა შეაქვთ სასუქები, სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბრძოლა მავნებლებთან და ავადმყოფობასთან, რაც დიდ ზიანს აყენებს ამ დარგებს.

ვენახებსა და ბაღებში შრომატევად საქუშაოთა მექანიზაციის დონე მეტად დაბალია. ყურძნისა და ხილის გადამუშავების ტექნიკური ბაზა სერიოზულად ჩამორჩება. ღვინის ქარხნები და საკონსერვო საწარმოები არ არიან უზრუნველყოფილი თანამედროვე მოწყობილობითა და აპარატურით.

საბრძოლო ამოცანად დასახულია 1960 წელს ვენახების ფართობები რესპუბლიკაში აყვანილ იქნას სულ მცირე 80.000 ჰექტარამდე, 1965 წელს კი — 120.000 ჰექტარამდე, 1956-1960 წლებში რესპუბლიკაში გაშენდეს 23.000 ჰექტარი ვენახები, აქედან 17.000 ჰექტარი კოლმეურნეობებში და 6.000 ჰექტარი საბჭოთა მეურნეობებში.

1960 წელს ხეხილის ბაღების ფართობი რესპუბლიკაში აყვანილ უნდა იქნას 122.000 ჰექტარამდე. ახალი ბაღების გაშენების გეგმა 1956-1960 წლებში განსაზღვრულია 17.100 ჰექტარით.

რა შესანიშნავი პერსპექტივაა! შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გამოყენების რა დიდი შესაძლებლობები ეძლევათ ჩვენს მევენახე და მებაღე კოლმეურნეებს, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს!

სოფლის მშრომელთა დარაზმვა მეექვსე ხუთწლედში დასახული დიდი პროგრამის განსახორციელებლად უნდა იყოს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების ხელმძღვანელთა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა ყურადღების ცენტრში.

ყველა მევენახისა და ხეხილის ღვიძლი საქმეა სანიმუშოდ მოაწყონ ვენახები, ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავება, სწრაფად გამოასწორონ ამ საქმეში არსებული სერიოზული ჩამორჩენა, ამასთან ყურადღება მიაქციონ სამრეწველო ჯიშების გაშენებას.

დიდი ამოცანები დგას საძირე ვაზის სადედეების, ნამყენი ვაზის და ხეხილის სანერგე მეურნეობის მტკიცე ბაზის შექმნის საქმეში.

მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებაში საპატიოა მექანიზატორების როლი. პლენუმმა მიიჩნია, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად ამაღლდეს მექანიზაციის სამუშაოთა დონე ყურძნისა და ხილის მოყვანის საქმეში, განხორციელდეს ამ დარგებში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და მტს-ების ამოცანად დასახა მებაღეობისა და მევენახეობის კოლმეურნეობათა მომსახურების საფუძვლიანი გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სარეწაო საბჭო მოვალენი არიან გააფართოონ წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და აპარატურის წარმოება მებაღეობისა და მევენახეობისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს. მათი მუშაკები მოწოდებული არიან გააუმჯობესონ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა მევენახეობასა და მებაღეობაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება რესპუბლიკის მეღვინეობისა და საკონსერვო მრეწველობის ტექნიკური ბაზა. მეღვინეობისა და საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა ამოცანაა ყველაფერი გააკეთონ ამ დიდი დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის.

მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარება მოითხოვს ნამდვილად ახლებურად, ნამდვილად სახელმწიფოებრივად მოეწყოს ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარი გამოცდილების პროპაგანდა და გავრცელება. სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა და წარმოებაში ფართოდ დანერგვა სიუხვის პირდაპირი გზაა, მოგვცემს საშუალებას სრულად გამოვიყენოთ ის დიდი რეზერვები, რომლებიც მეხილეობასა და მევენახეობაში მოგვეპოვება.

ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა სოფლის მეურნეობაში წარმატების საფუძველია. სოფლად პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად სრულდებოდეს ყველა დავალება მევენახეობისა და მეხილეობის დარგში. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ სოფლის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ 25 წლისთავი

ტყიბულის რაიონის მშრომელებმა აღნიშნეს გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ 25 წლისთავი. მაღაროელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მოხსენება გაზეთის მუშაობის შესახებ, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1931 წლის ნოემბერში, გააკეთა გაზეთის რედაქტორმა ს. მერკვილაძემ.

გაზეთს მიესალმნენ მოლოტოვის სახელობის შახტის უფროსი მ. კიკვაძე, კომკავშირის ტყიბულის რაიკომის მდივანი ბ. გრიგოლაშვილი, მოსწავლე ნ. ყიფიანი და სხვები. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა, რომელიც 15-16 ნოემბერს შედგა, მოისმინა და განიხილა საკითხები „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ისტორიულმა ყრილობამ, — თქვა მომხსენებელმა, — სხვა საკითხებთან ერთად დიდი ყურადღება მიაქცია მევენახეობისა და მებაღეობის ახალ მკვეთრ აღმავლობას.

„ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებაში დასახულია ძირითადი გზები მოკლე ვადაში ხილის სიუხვის შესაქმნელად ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რამდენადმე გაადიდეს ხეხილის ნარგავებისა და ვენახის ფართობები, აგრეთვე ხილის, კენკრისა და ყურძნის დამზადება. მაგრამ მებაღეობა და მევენახეობა კვლავ ყველაზე ჩამორჩენილი დარგებია. პარტიისა და მთავრობის ეს შეფასება სავსებით შეესაბამება ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობისა და მებაღეობის განვითარების მდგომარეობას.

მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ საქართველოში მეტად ხელსაყრელი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებია მევენახეობისა და მებაღეობის განსავითარებლად, მაღალხარისხოვანი ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლის მისაღებად. ამ დარგების შემდგომ მძლავრ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის. მებაღეობისა და მევენახეობის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 25-30 პროცენტს შეადგენს, ხოლო მთელ რიგ რაიონებში მევენახეობა და მებაღეობა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა. მაგალითად, გურჯაანის რაიონში მევენახეობა-მებაღეობაზე მოდის კოლმეურნეობების საერთო ფულადი შემოსავლის 72 პროცენტი, თელავის რაიონში — 64,5 პროცენტი, ზესტაფონის რაიონში — 73 პროცენტი, ყვარლის რაიონში — 49,6 პროცენტი, თერჯოლის რაიონში — 78,2 პროცენტი, გორის რაიონში — 48 პროცენტი და ა. შ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მევენახეობა და მებაღეობა მძლავრი აღმავლობის გზას დაადგა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი დადგენილებანი რესპუბლიკაში მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და ხარისხოვანი მეღვინეობის წარმოების შესახებ. მაგრამ დიდმა სამამულო ომმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობის ამ დარგებს. ომის პერიოდში დაიღუპა 12.700 ჰექტარი ვენახი.

მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. 1956 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში ვენახების ფართობები შეადგენდა 58.175 ჰექტარს. თუ 1950 წელს ყურძნის მოსავალი საქართველოს კოლმეურნეობებში ჰექტარზე საშუალოდ შეადგენდა 28 ცენტნერს, 1954 წელს იგი გაიზარდა 50,4 ცენტნერამდე. 1950 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 57.231 ტონა ყურძენი, 1955 წელს კი 113.393 ტონა ანუ თითქმის ორჯერ მეტი.

ამხ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელება მოსავლიანობის გადიდების საწინდარია. ამას მოწმობს მოწინავე მეურნეობათა, უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება. უკანასკნელ წლებში მოვლა-დამუშავების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შედეგად მევენახეობის ძირითად რაიონებში ყურძნის კარგ მოსავალს იღებენ და დიდი გადამეტებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმებს. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა უკანასკნელ სამ წელიწადში სრულმსხმოიარე ვენახების მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 78,5 ცენტნერი ყურძენი, თელავის რაიონმა — 67,2 ცენტნერი, წითელწყაროს რაიონმა — 67,3 ცენტნერი, ზესტაფონის რაიონმა — 54 ცენტნერი, ვანის რაიონმა — 54,3 ცენტნერი და ყვარლის რაიონმა — 50 ცენტნერი.

მაგრამ არიან ისეთი რაიონებიც, — ლაპარაკობს მომხსენებელი, — სადაც მევენახეობის შეუფასებლობას და მისდამი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ, უხეშად არღვევენ ვენახების მოვლის აგროტექნიკას, რის შედეგადაც იღებენ მეტად დაბალ მოსავალს. უკანასკნელ სამ წელიწადში ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე ქარელის რაიონში მიღებულია მხოლოდ 15,6 ცენტნერი, გარეუბნის რაიონში — 16,1 ცენტნერი, მცხეთის რაიონში — 18,7 ცენტნერი, გეგეჭკორის რაიონში — 18,7 ცენტნერი, ჩხოროწყუს რაიონში — 19,1 ცენტნერი, კასპის რაიონში — 22,6 ცენტნერი. ცალკეულ კოლმეურნეობებში კი ყურძნის მოსავალი უფრო დაბალია.

მომხსენებელი, ანალიზს უკეთებს რა ყურძნის დაბალი მოსავლიანობის მიზეზებს, ამბობს, რომ 1953 წელს ჩატარებული აღწერით ვაზის ნარგავების სიმეჩხრე საქართველოში შეადგენს 16,6 პროცენტს, რაც მოსავლიანობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ვენახების დიდ სიმეჩხრეს ვხვდებით ადიგენის (38,5 პროცენტი), ახალციხის (35,7 პროცენტი), გარეუბნის (32,8 პროცენტი), გარდაბნის (32,6 პროცენტი), მცხეთის (30,6 პროცენტი), კასპის (30,2 პროცენტი) და ყვარლის (28,6 პროცენტი) რაიონებში.

— ვენახებში მეჩხერიანობის სრული ლიკვიდაციის მიზნით საჭიროა 2-3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად სულ მცირე 5 მილიონი ძირი ვაზის გამორგვა და გადაწვენა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ვაზის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურ საკითხებს. მან აღნიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა ვაზის მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლას. გასულ წელს ვაზის აბლაბუდის მკეთებელი ტკიპასაგან და მეტადრე ჭრაქისაგან სერიოზულად დაზიანდა ვენახები ორჯონიკიძის, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ჭიათურის, საჩხერის, ცხაკაიას და ლაგოდეხის რაიონებში. ვაზის აბლაბუდის მკეთებელმა ტკიპამ წელსაც ზიანი მიაყენა ვენახებს. მოხსენებაში გაკრიტიკებულ იქნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლებმაც ვერ შეძლეს შეემუშავებინათ ტკიპის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებანი.

დიდმნიშვნელოვან აგროტექნიკურ ღონისძიებათა შორის მომხსენებელი ასახელებს ვაზის გასხვლას და მწვანე ოპერაციებს (ვაზის გაფურჩქვნა, ყლორტების წვეროების წაწყვეტა, ნამხრევების შეცლა და ცის გახსნა). წინათ ვაზი, — განაცხადა მან, — ისხვლებოდა მეტად მარტივი წესით. თვითეულ ვაზზე, უმეტეს შემთხვევებში, ტოვებდნენ მხოლოდ ერთ სანაყოფე რქას 8-10 კვირტით და ერთ სამამულეს. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მონაცემებისა და ჩვენი მოწინავე მევენახეების გამოცდილების საფუძველზე უკანასკნელ წლებში დაინერგა ვაზის გასხვლის ისეთი ფორმები, რომლებიც ვაზი მაქსიმალურად იტვირთება, რაც უზრუნველყოფს მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებას. ვაზის მაქსიმალური დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ მაღალი აგროტექნიკის განხორციელების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაზის ძლიერი დატვირთვა იწვევს მის დასუსტებას და შემდეგ წლებში მოსავლის მნიშვნელოვან შემცირებას.

— სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ვაზის სანერგე მეურნეობის შექმნას. უამისოდ ზედმეტია ლაპარაკი მევენახეობის აღმავლობაზე.

ვაზის სანერგე მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში სერიოზული ჩამორჩენაა. სტანდარტული ნამყენი ვაზის ნერგის გამოსავლიანობა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35-38 პროცენტისა, საბჭოთა მეურნეობებში ფაქტიურად 1954 წელს 24,3 პროცენტი იყო, ხოლო 1955 წელს — 30,5 პროცენტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო ხეხილის სანერგეში 1954 წელს — 26,3 პროცენტი და 1955 წელს — 29 პროცენტი, ხოლო კოლმეურნეობებში შესაბამისად — 26 პროცენტი და 28 პროცენტი.

მევენახეობის წამყვანი რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საპატიო ამოცანაა უზრუნველყონ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ნამყენი ვაზის საკუთარი ნერგებით. მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შრომატევადი დარგია. ამიტომ მევენახეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ მექანიზაციის დონე ამ დარგში ჯერ კიდევ დაბალია. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენილან დასავლეთ საქართველოს და ქართლის მევენახეობის რაიონები. მომხსენებელი ლაპარაკობს მანქანების სრული დატვირთვით გამოყენების აუცილებლობაზე და მტს-ების მუშაკთა გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია მევენახეობაში მექანიზაციის ფართოდ განხორციელება, თვითეული მანქანის წარმადობის გადიდება.

შეეხო რა მევენახეობის განვითარების პერსპექტივებს, ამხ. ჯავახიშვილმა თქვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების გეგმის პროექტით ნავარაუდევია 1956-1960 წლებში 23.000 ჰექტარი ახალი ვენახების გაშენება. მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება 6.000 ჰექტარი და კოლმეურნეობებში 17.000 ჰექტარი. 1960 წლისათვის საქართველოში ვენახების საერთო ფართობი გაიზრდება 80.000 ჰექტარამდე, ხოლო 1965 წლისათვის — 120.000 ჰექტარამდე. 1960 წელს კოლმეურნეობებში ჰექტარზე ყურძნის საშუალო მოსავლიანობა უნდა გადიდდეს 60-65 ცენტნერამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 75-80 ცენტნერამდე.

შემდეგ ამხ. ჯავახიშვილი ეხება მებაღეობის განვითარების საკითხებს. 1956 წლის 1 იანვრისათვის, ამბობს იგი, რესპუბლიკაში იყო 104.540 ჰექტარი ბაღები. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მებაღეობის განვითარებას მეტი ყურადღება ექცევა. ახალი ბაღების გაშენებასთან ერთად თვალსაჩინოდ უმჯობესდება ხეხილის ჯიშობრივი შემადგენლობა. მაგრამ, ამ დარგში ჯერ კიდევ არის მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მტს-ები, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ მნიშვნელოვან საქმეს. უხეშად ირღვევა ბაღების მოვლის აგროტექნიკური წესები. ბაღების დიდი ნაწილი მოუვლელია, რის გამო ბაღები გამეჩხერებულია და ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან. ამის შედეგია ის, რომ უკანასკნელ წლებში რაიონები ხილის დაბალ და უხარისხო მოსავალს იღებენ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ხილის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია: 1951 წელს — 8,6 ცენტნერი, 1953 წელს — 13,8 ცენტნერი, 1954 წელს — 24,9 ცენტნერი, 1955 წელს კი მხოლოდ 7,5 ცენტნერი.

ცალკეულ რაიონებში ხილის მოსავლიანობა კიდევ უფრო დაბალია. ქარელის რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 1954 წელს 16,7 ცენტნერი, ხოლო 1955 წელს—5,9 ცენტნერი, კასპის რაიონში — შესაბამის წლებში — 19,1 ცენტნერი და 4,9 ცენტნერი, ტყიბულის რაიონში — 23,5 ცენტნერი და 4 ცენტნერი, გორის რაიონში — 38,7 ცენტნერი და 17 ცენტნერი. ხილის მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებლები აქვთ მცხეთის, გარეუბნის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, გარდაბნის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებს.

ჩვენ მოგვეპოვება ხილის მოსავლიანობის გადიდების მდიდარი რეზერვები. მოწინავე მეურნეობათა და ნოვატორთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოსავლის მნიშვნელოვნად გადიდება შეიძლება მოწინავე აგროტექნიკის დანერგვით, შრომის სწორი ორგანიზაციით. მაგალითად, გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ 295 ჰექტარი ხეხილის ბაღებიდან (აქედან მსხმოიარეა 142 ჰექტარი თესლოვანები) საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 1953 წელს 68 ცენტნერი, 1954 წელს — 47,1 ცენტნერი და 1955 წელს — 64,1 ცენტნერი, ხოლო 1956 წელს, მიუხედავად არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა — 35,2 ცენტნერი ხილი. სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელმა ქართლმა“ 1956 წელს 35 ჰექტარი მსხმოიარე ბაღებიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 75 ცენტნერამდე ვაშლი, ხოლო ამავე კოლმეურნეობის [illegible] — 107 ცენტნერი. ფარიანის საბჭოთა მეურნეობა 1955 წელს 347 ჰექტარი ბაღების საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 66,2 ცენტნერი ხილი. ცალკეული მოწინავეები უკეთეს მაჩვენებლებს იძლევიან.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ახალი ბაღების გაშენების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და მოჰყავს მაგალითები იმის ნათელსაყოფად, რომ ბაღების გაშენება არ წარმოებს დარაიონებული კულტურებისა და ჯიშების მიხედვით. კოლმეურნეობები უმეტეს შემთხვევაში აშენებენ ზამთრის ჯიშის ვაშლს (ენეხური, შამპანური რენეტი და ქართული სინაპი), ხოლო არ ზრუნავენ ისეთი ძვირფასი კულტურების გაშენებისათვის, როგორიც არის მსხალი, ატამი, ქლიავი, თხილი, ბალი, სუბტროპიკული ხურმა და სხვ.

— საქართველოში მებაღეობის შემდგომი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სანერგე მეურნეობის განვითარებასთან. რესპუბლიკის მოთხოვნილება ხეხილის ნერგებზე 10 წლის მანძილზე 15-20 მილიონ ცალს შეადგენს. სარგავი მასალის წარმოება მოითხოვს ჯიშების დარაიონებას ჩვენი რესპუბლიკის ცალკე ზონების მიხედვით.

მომხსენებელი გადადის სასოფლო-სამეურნეო აპარატურა-ინვენტარით მებაღეობის მომარაგების საკითხებზე. ამ საქმეში სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მართალია, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეები ძირითადად მარაგდებიან ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში დამზადებული ინვენტარით, მაგრამ ეს საწარმოები მეტად უხარისხო ინვენტარს უშვებენ, რის გამო მომხმარებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ. საჭიროა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და სარეწაო საბჭოს საწარმოებმა მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა და გაუმჯობესებული წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი იმ რაოდენობით გამოუშვან, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოთხოვნილებას.

ამხ. ჯავახიშვილმა დაახასიათა მეღვინეობის მრეწველობის და საკონსერვო მრეწველობის ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და შეეხო იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ნედლეულის შეუფერხებელი გადამუშავება.

ამხ. ჯავახიშვილმა სამართლიანად გააკრიტიკა მაიაკოვსკის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კოლმეურნეობებში მევენახეობის განვითარების საქმეში არსებული დიდი ნაკლოვანებებისათვის.

მევენახეობისა და მებაღეობის დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ რესპუბლიკური ორგანიზაციები და პირველ რიგში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ დარგებს არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს დიდი აპარატი, სპეციალური სამმართველო. აქ არის მინისტრის მოადგილე, იგივე მთავარი ინსპექტორი მრავალწლიანი ნარგავების დარგში, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სამმართველო კონკრეტულად არ მუშაობს ამ საკითხებზე, ოპერატიულად არ წყვეტს მათ, თავისი ინიციატივით არ აყენებს რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების წინაშე მევენახეობისა და მებაღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რომ მევენახეობისა და მებაღეობის დარგში ახალი დავალებების წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებას, აამაღლებს კოლმეურნეობათა ეკონომიკას და კოლმეურნეთა შეძლებულობის დონეს. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებას საფუძველი ეყრება მეექვსე ხუთწლედის პირველსავე წელს — 1956 წელს. მთავარია ის, რომ დავაჩქაროთ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა რაიონმა უზრუნველყოს ახალი ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაშენების 1956 წლის გეგმის წარმატებით შესრულება. მევენახეობასა და მებაღეობაში ყველა შესაძლებლობისა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

დეპეშა
მის აღმატებულებას
გატონ ქამილ შამუნს
ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტს
ბეირუთი

ეროვნული დღესასწაულის — ლიბანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის გამო გითვლით თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და მთელ ლიბანელ ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და პირადად ჩემს გულითად მეგობრულ მოლოცვას.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს ლიბანელ ხალხს, ისევე როგორც არაბთა სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც სამართლიან ბრძოლას ეწევიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ პირადად თქვენი ბედნიერების, ლიბანის რესპუბლიკის ხალხის აყვავებისა და ახლო აღმოსავლეთში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის საერთო ბრძოლის წარმატების ჩემი გულწრფელი სურვილები.

კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1956 წლის 21 ნოემბერი. მოსკოვი, კრემლი.

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ი. რაბის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისადმი

ამა წლის 16 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სახელზე მიღებულ იქნა მოსკოვში ავსტრიის საელჩოსაგან ავსტრიის კანცლერის ი. რაბის შემდეგი წერილი:

„ვენა, 1956 წლის 27 ოქტომბერი

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ავსტრიის ალმის დღის, ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადების წლისთავის გამო, თქვენ ესოდენ თავაზიანად შემომმითვალეთ თქვენი სალამი და სურვილები, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის სალამი და სურვილები.

გულწრფელად გმადლობთ ამ თავაზიანი წერილის გამო და გამოვთქვამ აგრეთვე იმედს, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა შემდეგშიც წარმატებით განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

მიიღეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩემი უდიდესი პატივისცემა.

იულიუს რაბი

მის აღმატებულებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბატონ თავმჯდომარეს მარშალ ნიკოლოზ ა. ბულგანინს“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი

(გაგრძელება)

და რეზერვის მთლიანად გამოყენება პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა.

მოხსენების გამო გაჩაღდა კამათი. პარტიის თელავის რაიკომის მდივანს **ზ. გელდიაშვილს** საჭიროდ მიაჩნია, რომ თელავის რაიონში შემცირდეს მარცვლეული კულტურების ნათესები და სამაგიეროდ გადიდდეს ვენახების ფართობი, აგრეთვე შემოღებულ იქნას ყურძნის ჩამბარებელთა დასაქონლება ხორბლით, ხოლო კოლმეურნეობების დასაქონლება — ავტომანქანებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, საშენი მასალებით და ა. შ.

ორატორი შეეხო მევენახეობის რაიონების თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფის საქმეს და დააყენა საკითხი ვენახების რიგთა შორის დასამუშავებელი ტრაქტორების პარკის გაფართოების აუცილებლობის, აგრეთვე საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ვაზის შესაწამლი აპარატების, გოგირდის შესაფრქვევი მოწყობილობის, ცხენის გუთნების, ვაზის მაკრატლების, სამყნობი დანებისა და სხვა ინვენტარის გამოშვების გადიდების შესახებ.

ამხ. გელდიაშვილმა გააკრიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქმიანობა, აღნიშნა, რომ ისინი მოსწყდნენ ცხოვრებას. მან გააკრიტიკა აგრეთვე ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ქარხანა უხარისხოდ დამუშავებულ დანადგარებს, ძველი კონსტრუქციის ყურძნის საწნეხებს უშვებს.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **გ. სანაკოევმა** ილაპარაკა ხეხილის ბაღებისა და ვენახების გაჯანსაღების საჭიროებაზე, აღნიშნა, რომ მტს-ებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ არსებული ნარგავების მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას. ტრაქტორისტებს, რომლებიც შესასხურებელი აპარატურით აწარმოებენ ბაღების შეწამვლას, ერთი ჰექტარის მიხედვით საწვავის ხარჯვის ნორმად დაწესებული აქვთ 7,5 კილოგრამი. საწვავი რომ არ გადახარჯონ, ტრაქტორისტები ჩქარობენ, აპარატურის მომსახურე პერსონალი კი ვერ ასწრებს ნარგავების გულდასმით შესხურებას. ამის შედეგად ნარგავების მკურნალობის ეფექტიანობა უმნიშვნელოა.

ბევრგან ხეხილის ბაღები და ვენახები არ არის შემოკავებული, რის გამო პირუტყვი აფუჭებს ნარგავებს. 1950 წელს ოლქში დაიღუპა 250 ჰექტარი ნარგავები და საჭირო გახდა ამ ფართობის გადახვნა. აუცილებელია ყველა კოლმეურნეობებში შეიქმნას მებაღეობისა და მევენახეობის ბრიგადები.

აღნიშნა რა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გარეული ხეების კულტურულ მცენარეებად გადაქცევას მყნობის საშუალებით, ამხ. სანაკოევმა დააყენა საკითხი რესპუბლიკის მთიან რაიონებში ამ მუშაობის ფართოდ განვითარების საჭიროების შესახებ.

საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის მეორე მდივანი **ა. დავითაშვილი** შეეხო რაიონის მევენახეთა საჭიროებებს. მან განაცხადა, რომ ქუთაისიდან მიღებული შაბიანში არასრულფასოვანი გამოდგა და გამოიწვია შეწამვლის შემდეგ ვაზის ფოთლის დაწვა და ცვივნა.

ახალი ვენახების გასაშენებლად რაიონში გათვალისწინებულია ტყიანი ადგილების ათვისება. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სავენახედ გამოყენებულ უნდა იქნას კიდევ სახნავი ფართობები. ამიტომ საჭიროა რაიონს შეუმცირონ მზესუმზირას სათესი ფართობები, რათა ამ კულტურისაგან განთავისუფლებულ ფართობებზე ვენახი გაშენდეს. ამასთან საჭიროა ზომების მიღება გურჯაანისა და ველისციხის მტს-ების სამანქანო პარკის გასაძლიერებლად.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ლაბახუა.**

— პარტიის საოლქო კომიტეტს და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, — ამბობს იგი, — რომ მეექვსე ხუთწლედში ახალ ფართობებზე ბაღების გაშენებასთან ერთად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ბაღების მოვლა-პატრონობასა და ხეხილის მავნებლებთან ბრძოლის გაძლიერებას, მებაღეობაში შრომატევადი სამუშაოებას მექანიზაციის განხორციელებას.

მებაღეობა-მევენახეობის შემდგომი განვითარება აფხაზეთში მოითხოვს ხილისა და ყურძნის გადასამუშავებელი ტექნიკური ბაზის გაფართოებას. ამიტომ ამხ. ლაბახუა აყენებს საკითხს, რომ განახლდეს სოხუმის საკონსერვო ქარხნის მშენებლობა და იქვე აგებულ იქნას ღვინის ახალი ქარხანა. მას აგრეთვე მიზანშეწონილად მიაჩნია აფხაზეთში აშენდეს ტარის ქარხანა.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრმა **ზ. კეცხოველმა** ილაპარაკა ქართული ღვინოების, კონიაკების, შამპანურის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებაზე.

— მეექვსე ხუთწლედში, — განაცხადა მან, — კოლმეურნეობების ბაზაზე გათვალისწინებულია რესპუბლიკაში ჩამოყალიბდეს 7-8 დიდი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. გარდა ამისა, გაფართოებულ იქნება არსებული საბჭოთა მეურნეობები და მათი ნარგავების საერთო ფართობი 3.000 ჰექტარიდან 9.000 ჰექტარამდე იქნება გადიდებული. ამიტომ ახლა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზის ნერგების წარმოების გადიდებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის სათანადო ტექნიკური ბაზის შექმნას. თუ მეხუთე ხუთწლედში მეღვინეობის ტექნიკური ბაზის შექმნაზე დაბანდებულ იქნა 207 მილიონი მანეთი, მეექვსე ხუთწლედში განზრახულია ამ ციფრის გადიდება 350 მილიონ მანეთამდე.

საქართველოს კპ გორის რაიკომის მდივანმა **ი. რთველიაშვილმა** პლენუმის ყურადღება შეაჩერა რაიონში მევნიერების ერთგვარი ჩამორჩენის მიზეზებზე. ეს მიზეზებია — კოლმეურნეობებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და განუხრელად განხორციელების უგულებელყოფა, ხეხილის მავნებლებთან ბრძოლის ჯეროვნად მოუწყობლობა, კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენება. პარტიის რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ახლა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ.

ამხ. რთველიაშვილმა ილაპარაკა გორის, ახალსოფლისა და ტყვიავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის ახალი ტექნიკის გამოყოფის საჭიროების შესახებ. ეს შესაძლებლობას მისცემს მტს-ებს თავი გაართვან როგორც მემინდვრეობის, ისე მებაღეობა-მევენახეობის ყველა სეზონური სამუშაოს შესრულებას და ბაღების გასაშენებლად ახალი ფართობების ათვისებას.

საკმაოდ ბევრი ნაკლია სარწყავი სისტემების მუშაობაში, რის გამო ზოფხულობით ფვრხდება ბაღების ბორწყვა. საჭიროა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალოს ტირიფონისა და სალთვისის სარწყავი სისტემების წესრიგზე მოყვანა.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებამ ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ, — თქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ვ. ქერქაძემ,** — გამოიწვია კოლმეურნეთა დიდი დაინტერესება და შექმნა ხელსაყრელი პირობები მებაღეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამის შედეგად წელს რესპუბლიკაში 1 ნოემბრისათვის ხილის დამზადების გეგმა 132,6 პროცენტით შესრულდა.

ამხ. ქერქაძე შეჩერდა რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების პერსპექტივებზე და აღნიშნა, რომ თუ ახლა მეურნეობის ამ დარგის ხვედრითი წონა საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 23 პროცენტს არ აღემატება, მოკლე დროში ეს ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს. ამისათვის საჭიროა ისეთ რაიონებში, როგორიც საჩხერის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის და ვანის რაიონებია, ვენახები გავაშენოთ ფერდობ ადგილებზე.

— მევენახეობისა და მებაღეობის დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, — თქვა ამხ. ქერქაძემ, — იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგებს. სამინისტრო გაათვალისწინებს აქ გამოთქმულ ყველა შენიშვნას და მიიღებს ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა ოპერატიული გამოსწორებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **გ. აბესაძე** აღიარებს, რომ ინსტიტუტი ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან. უმნიშვნელო მასშტაბებით ინერგება, მაგალითად, მეცნიერ მუშაკთა მიერ გამოვლინებული და გამოყვანილი ვაზის ახალი ჯიშები, ჯერაც არ არის მიღწეული ინსტიტუტის მიერ დაპროექტებული ვენახის მწკრივთაშორისებში სასუქის შემტანი აპარატის მასობრივი გამოშვება და სხვ.

ამხ. აბესაძემ განაცხადა, რომ ვაზის მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად ინსტიტუტის მიერ რეკომენდებულ პრეპარატს — თიოფოსს — სათანადოდ არ იყენებენ. მაგრამ როგორც ეს ინსტიტუტი, ისე მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სუსტად სწავლობენ ვაზისა და ხეხილის დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მაღალეფექტიან საშუალებებს.

პარტიის ყვარლის რაიკომის მდივანი **ა. ავაზაშვილი** შეჩერდა კოლმეურნეობების მიერ ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებზე. გეგმით გათვალისწინებული 52 ცენტნერის ნაცვლად წელს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილ იქნა 60 ცენტნერი ყურძენი. საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში დამზადდა 5.900 ტონა ყურძენი, ანუ გეგმასთან შედარებით 1.200 ტონით მეტი. ყურძნის მოსავლიანობის ამაღლებაში დიდი როლი შეასრულა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

— ცნობილია, — განაგრძობს ამხ. ავაზაშვილი, — რომ ჩვენში ხორციელდებოდა მცდარი, არასწორი ხაზი სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში. „საკუთარი წარმოების პურით საქართველოს უზრუნველყოფის“ ლოზუნგით გატაცებამ ცოტა ზიანი როდი მიაყენა საქართველოში და, კერძოდ, ყვარლის რაიონში მევენახეობის განვითარებას. ამ მავნე პრაქტიკის შედეგად რაიონში თითქმის შეწყდა ახალი ვენახების გაშენება, ყურადღება არ ექცეოდა ახალგაზრდა ნარგავების მოვლას. შემდეგ ამხ. ავაზაშვილი დაწვრილებით ეხება მეჩხერაიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებსა და მევენახეობის განვითარების პერსპექტივებს ყვარლის რაიონში. მიწის ახალი ფართობების ასათვისებლად და ვენახის სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციისათვის ორატორი სთხოვს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოუყოს რაიონის მტს-ებს ტრაქტორები, კულტივატორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

— ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელი, — განაცხადა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **გ. ჭელიძემ,** — მრავალდარგოვანი მეურნეობაა. მას უჭირავს 4.000-მდე ჰექტარი მიწა, რომელზეც მოგვყავს ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, მზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული და პირუტყვის საკვები კულტურები. კოლმეურნეობას აქვს აგრეთვე 82,5 ჰექტარი ვენახი, საიდანაც 60 ჰექტარი სრულმოსავლიანია, 26 ჰექტარი ხეხილის ბაღი. წელს საშუალოდ ჰექტარზე 105,6 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ. ეს მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე წინა წლების მოსავალი. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ნახევარზე მეტი მევენახეობაზე მოდის. მაგალითად, 1954 წელს 2,5 მილიონი მანეთი შემოსავლიდან 1,5 მილიონი მანეთი ყურძენმა მოგვცა, შარშან 2 მილიონ 800 ათასი მანეთიდან — 1,5 მილიონი მანეთი, წელს კი ნავარაუდევი 3 მილიონ 400 ათასი მანეთიდან 1 მილიონ 900 ათას მანეთს მევენახეობიდან მივიღებთ.

შეეხო რა ვაზის შპალგრზე გადაყვანის მნიშვნელობას, ამხ. ჭელიძემ უსაყვედურა საგაჭრო ორგანიზაციებს, რომ ბოძები ძნელად იშოვნება, მავთული კი სულაც არ შეაქვთ სოფლად. იგი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს თხოვს მოაგვარონ ეს საკითხი და დაარჩქარონ საირიგაციო მშენებლობა რაიონში.

მევენახეობის უძველესი მხარეა მაიაკოვსკის რაიონი. მაგრამ უკანასკნელ წლებში აქ ვერ სრულდება ყურძნის მოსავლიანობის დავალებები. პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი **ა. ტაბატაძე** შეჩერდა რაიონის ჩამორჩენის მიზეზებზე და აღნიშნა, რომ მშრომელებისა და რაიონული ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, შედეგები ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. ამხ. ტაბატაძე ითხოვს რაიონისათვის გადიდდეს მინერალური სასუქების, აგრეთვე მავთულისა და რკინა-ბეტონის ბოძების გამოყოფა.

შეეხო რა ყურძნის დამზადებას, ორატორმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ყურადღება არ ექცევა რაიონის მევენახეთა სტიმულირებას. ერთი და იმავე ჯიშის ყურძენში მაიაკოვსკის რაიონში უფრო ნაკლებ ფასს უხდიან კოლმეურნეებს, ვიდრე მეზობელ რაიონებში, რაც, ორატორის აზრით, სწორი არ არის. ამხ. ტაბატაძემ სამართლიანად გააკრიტიკა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები იმისათვის, რომ ისინი ძალიან იშვიათად დადიან ადგილებზე, ღრმად არ ეცნობიან რაიონის ცხოვრებასა და ეკონომიკას. მაგრამ ამხ. ტაბატაძე საკმაოდ თვითკრიტიკულად არ მოეკიდა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც არის მაიაკოვსკის რაიონში მევენახეობის განვითარებაში და მეურნეობის ამ დარგისადმი პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობაში.

მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხებს შეეხო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნ. კეცხოველი.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს კპ კასპის რაიკომის მდივანმა **გ. კეჩხუაშვილმა,** სოფელ ზემო მაჩხაანის (წითელწყაროს რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ნ. მამაიაშვილმა** და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა **ს. ლომკაცმა.**

პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე.**

— ამ პლენუმზე, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — ჩვენ განვიხილავთ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების — სრულიად საკავშირო მნიშვნელობის მქონე მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომ აღმავლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის საკითხია. მივაღწიოთ მევენახეობისა და მებაღეობის ახალ აღმავლობას — ეს იმას ნიშნავს, რომ გავამრავლოთ ჩვენი სიმდიდრე, მივცეთ ქვეყანას მეტი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტები — ყურძენი, ხილი, ღვინოები, კონსერვები. ეს იმას ნიშნავს, რომ გავუმჯობესოთ კოლმეურნეობათა ეკონომიური მდგომარეობა, ავამაღლოთ ჩვენი კოლმეურნეების ცხოვრების დონე.

შეეხო რა იმ მუშაობას, რომელიც უახლოეს ორ ხუთწლედში უნდა განხორციელდეს მევენახეობის განვითარების საქმეში, ამხ. მჟავანაძე აღნიშნავს, რომ რესპუბლიკამ უნდა შეასრულოს უდიდესი მოცულობის სამუშაოები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამ ამოცანების შესრულება სავსებით შესაძლებელია. ამხ. მჟავანაძემ დამსწრეებს მოაგონა, თუ რა მძიმე მდგომარეობა იყო რესპუბლიკაში მეცხოველეობის მხრივ. ახლა მეცხოველეობაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. ბევრ კოლმეურნეობაში წველადობა მეწველ ძროხაზე 1.600-2.000 ლიტრს შეადგენს.

ასევე მგზნებარედ უნდა მოვკიდოთ ხელი მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებასაც. ამ ამოცანის გადასაწყვეტად უნდა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები და შესაძლებლობანი. დასახული ამოცანების შესრულება შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი, ხელს შეუწყობს კოლმეურნეების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას.

მევენახეობის განვითარებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ნაკვეთის შერჩევა. ნაკვეთები ისე უნდა შევარჩიოთ, რომ შეიძლებოდეს მაქსიმალურად გამოვიყენოთ მექანიზაცია. ვენახები უნდა გავაშენოთ დიდ მასივებად, საჭირო წინასწარ შევადგინოთ ტერატორიის მოწყობის გეგმა.

— ჩვენ, — განაგრძობს ამხ. მჟავანაძე, — ბევრი ვილაპარაკეთ ჯიშებზე. მე ვფიქრობ, რომ სწორად ვილაპარაკეთ: კი არ უნდა შევამციროთ, არამედ უნდა აღვადგინოთ ჩვენი საუკეთესო ქართული ჯიშები. ამხ. მჟავანაძე აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მცდარია ის შეხედულება, თითქოს უნდა შევამციროთ ვენახები ისეთი ჯიშების ვაზისა, როგორიც არის კაბერნე, მწვანე და სხვები. ისინი კი არ უნდა შევამციროთ, არამედ უნდა გავაფართოოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი ღვინოების და უწინარეს ყოვლისა შამპანურის ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

შემდეგ ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს საძირე ვაზის სადედე მეურნეობის შექმნის დიდ მნიშვნელობაზე, ბაღის ინვენტარის წარმოებაზე, საქართველოს მეცნიერთა ამოცანებზე.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს ხანში ვენახების ფართობი კოლმეურნეობებშ აღემატებოდეს ვენახების ფართობს საკარმიდამო ნაკვეთებზე, და კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყარო გახდეს საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული და არა საკარმიდამო ნაკვეთების შემოსავალი.

— ჩვენს წინაშე, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — დასახულია მევენახეობისა და მებაღეობის მკვეთრი აღმავლობის პრობლემა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ამ ამოცანის უთუოდ შესრულება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მექანიზაციის დანერგვას მეურნეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში როგორიც არის მევენახეობა და მებაღეობა.

მევენახეობის რაიონების საოლქო და რაიონული პარტიული ორგანოები მოვალენი არიან თავიანთი ყურადღების ცენტრში მოაქციონ მევენახეობის განვითარების საკითხები და თავიანთი ყოველდღიური მუშაობით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობას ამ უმნიშვნელოვანესი დარგის აღმავლობის ამოცანების უთუოდ შესრულება.

საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივების, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ყველა მეცნიერის ღირსების საქმეა თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და ღონისძიებანი მოახმარონ პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი რესპუბლიკის მევენახეთა და მებაღეთა წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტას.

— მოხსენებაში და გამოსვლებში დიდი ყურადღება დაეთმო მებაღეობას. მას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, ხალხისათვის, კოლმეურნეობებისათვის. ამიტომ ჩვენ წარმატებით უნდა გადავწყვიტოთ მებაღეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც პლენუმი სახავს. ისინი კონკრეტულად, ახლებურად უნდა ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგს, უნდა მოაწყონ ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა მევენახეობისა და მებაღეობის განუხრელი აღმავლობისათვის და სათავეში ჩაუდგნენ მას.

ჩვენი პარტია ყველა ამოცანას ყოველთვის წყვეტდა და წყვეტს მასებთან მჭიდრო კავშირში და მათი დახმარებით, მათზე დაყრდნობით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად მოიწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს. ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ არის დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერი მუშაკები არ დაიშურებენ ძალებს, ენერგიასა და ცოდნას, რათა წარმატებით გადაწყვიტონ მევენახეობისა და მებაღეობის განვითარების დიდი ამოცანები.

* * *

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

* * *

პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენს რესპუბლიკაში მიღწეულია პირველი წარმატებანი. სამრეწველო წარმოების გეგმა რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 9 თვეში შესრულებულია 102 პროცენტით, რაც 1955 წლის სათანადო პერიოდთან შედარებით შეადგენს ზრდას 13 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით 1956 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებითა და ფართო მოხმარების საქონლით. მიმდინარე წლის 9 თვეში, 1955 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, საქონელბრუნვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 327 მილიონი მანეთით გაიზარდა.

მაგრამ, აღნიშნავს მომხსენებელი, წარმატებანი მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში ბევრად მეტი იქნებოდა, მთლიანად რომ ვიყენებდეთ არსებულ მდიდარ რეზერვებსა და შესაძლებლობებს საქონელბრუნვის გაფართოებისათვის, ვაჭრობის კულტურის ამაღლებისა და ვაჭრობის შემდგომი სრულყოფისათვის.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა და საგაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მთლიანად არ იყენებენ არსებულ ხელსაყრელ პირობებს რესპუბლიკაში ვაჭრობის სწორი ორგანიზაციისა და განვითარებისათვის. ამან ის გამოიწვია, რომ 1956 წლის 10 თვეში საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას საქართველოს სს რესპუბლიკაში დააკლდა 146 მილიონი მანეთი.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ ეს ჩამორჩენა საქონლის ნაკლებობით ახსნან. ამას გვიჩვენებს საქონლის მნიშვნელოვანი ზენორმატიული მარაგი, რომელმაც 1956 წლის 1 ოქტომბრისათვის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაშიც და ცეკავშირის სისტემაშიც მრავალი ათეული მილიონი მანეთი შეადგინა. საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებია არსებითი ნაკლოვანებანი ვაჭრობის ორგანიზაციაში, საჭირო მოქნილობისა და ოპერატიულობის უქონლობა სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებმა დიდძალი ქაღალდი დაჩარჯეს მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის შესახებ ყოველგვარი ბრძანებებისა და ცირკულარების გამოსაცემად, ეს უმნიშვნელოვანესი საქმე დღემდე არსებითად თავშინებებულია.

ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ხშირად არასწორად ანაწილებენ საქონელს რაიონებსა და ქალაქებს შორის.

მშრომელთა მოთხოვნილებების მხოლოდ უგულებელყოფით უნდა აიხსნას ისეთი ფაქტები, როცა მაღაზიებში გაყიდვად არა აქვთ საქონელი, რომელიც საკმაო რაოდენობით არის საწყობებსა და ბაზებში. მაგალითად, ხელოს რაიკოოპკავშირის სავაჭრო ქსელში გასაყიდად არ ჰქონდათ ბამბის ქსოვილები, ქალის კაბები, მამაკაცის ქუდები, პალტოები, ასანთი და სხვა საქონელი, რომლებიც საკმაოზე მეტი რაოდენობით არის აჭარაკოოპკავშირის ბაზაში.

ილაპარაკა რა იმაზე, რომ საჭიროა მყიდველთა მოთხოვნილების ნამდვილი შესწავლა, საქონლის მექანიკურად განაწილების ლიკვიდაცია, მომხსენებელი ცალკე შეეხო რეკლამის საკითხებს. რეკლამა კულტურული ვაჭრობის აუცილებელი თანამგზავრია, საქონლის საუკეთესო პროპაგანდისტია. იგი მოწოდებულია აქტიურად მოახდინოს ზემოქმედება მომხმარებელთა მოთხოვნილებაზე, გემოვნება გაუუმჯობესოს მოსახლეობას, სიმართლე უთხრას ცალკეული საქონლის ძირითად თვისებებსა და თავისებურებებზე, მიაწოდოს ინფორმაცია ახალ ნაკეთობათა შესახებ. ჩვენში კი ეს საქმე სრულიად არაადამაკმაყოფილებელ ხარისხზე ორგანიზებულია.

[illegible] ბევრი [illegible] ადგილობრივ [illegible] ბაზის [illegible] ბაზრებზე [illegible] ბაზრებზე [illegible] ბაზრებზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი

(დასასრული)

შემოწმების შედეგად 30 საწარმოს აეკრძალა საქონლის გამოშვება მისი დაბალი ხარისხის გამო.

ეხება რა უკანასკნელ ხანს განხორციელებულ ღონისძიებებს რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოების დარგში, მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს, სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების აქტიური ხელშეწყობით, შეუძლიათ გამოიყენონ საქონელბრუნვაში საქონლის დიდი მასების მოქცევის უდიდესი შესაძლებლობანი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქონელბრუნვის გაფართოების თუნდაც ისეთი არხი, როგორიც არის სარესპუბლიკათაშორისო და სარაიონთაშორისო საქონელგაცვლა, აგრეთვე სავაჭრო ოპერაციები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

მომხსენებელი დაწვრილებით ეხება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას. „საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 1 მარტის დადგენილებისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 28 მარტის შესაბამისი დადგენილების შემდეგ გაწეულია ერთგვარი მუშაობა. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში გახსნილია საზოგადოებრივი კვების 120 ახალი საწარმო. 1956 წლის 10 თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვა რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების ქსელში გაიზარდა 32,2 მილიონი მანეთით.

მაგრამ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი შრომა დასჭირდებათ საზოგადოებრივ კვებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის. თბილისის ავტომარემონტო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში, ჩაქვისა და აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, გალის ჩაის ფაბრიკაში სასადილოები ცუდად მუშაობენ. ბევრ სასადილოში ამზადებენ ერთფეროვან საკვებელს, გასაყიდად ხშირად არა აქვთ ბოსტნეულისაგან, თევზისაგან, ფქვილისაგან გაკეთებული კერძები, აკლიათ ჭურჭელი და ხელსაწყო, არღვევენ სანიტარულ პირობებს.

ვაჭრობისა და კოოპერაციის ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არის გაფლანგვის, დატაცების და სხვა ბოროტმოქმედების შემთხვევები. დიდი თანხების გაფლანგვა-დატაცება გამოვლენებულია საქვაჭრობაში, სტალინირვაჭრობაში, ბათუმვაჭრობაში, ქუთაისვაჭრობაში, თბილმრეწვავაჭრობაში. ცეკავშირის 69 კოოპერაციული ორგანიზაციიდან გაფლანგვები გამოვლენებულია 42 ორგანიზაციაში.

რა არის მიზეზი გაფლანგვა-დატაცებისა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება? უპასუხებს რა ამ კითხვაზე, მომხსენებელი ამბობს, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო ღრმად არ სწვდება სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების სამეურნეო საქმიანობას, ცუდად ახორციელებს კონტროლს კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი, საკმაოდ არ ეხმაურებიან სიგნალებს საქმისანთა დანაშაულებრივი მაქინაციების შესახებ.

ამჟამად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ახალი სავაჭრო საწარმოების მშენებლობას. მშენებლობის გეგმები მთლიანად სრულდება, მაგრამ მთელ რიგ ობიექტებზე დაღი ჩამორჩენაა. მაგალითად, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო მოვალე იყო ჯერ კიდევ 1 ივლისისათვის დაემთავრებინა 420-ადგილიანი სასადილოს და 300-ადგილიანი პავილიონის მშენებლობა წყალტუბოში, აგრეთვე 220-ადგილიანი რესტორანის მშენებლობა გაგრაში. მაგრამ ვაჭრობის ეს საწარმოები ჯერ კიდევ არ არის გადაცემული საექსპლოატაციოდ.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკა გრძნობს დიდ ყურადღებასა და დახმარებას სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზის მხრივ. მაგრამ ამასთან ერთად გამოითქვა მთელი რიგი შენიშვნები და პრეტენზიები ამ ორგანოების მისამართით. ეს პირველ რიგში ეხება მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საქონლის შემოზიდვას რესპუბლიკაში, დაგეგმვის გაუმჯობესებას.

მრავალი ნაკლი მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში, სავაჭრო ორგანიზაციების, ტრესტების, მაღაზიებისა და სასადილოების საქმიანობაში მოწმობს იმას, რომ საქართველოს კპ რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები და ცენტრალური კომიტეტი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სავაჭრო საწარმოთა მუშაობას. ამან გამოიწვია ის, რომ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დაყენებაში მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში (ქუთაისვაჭრობისა, აჭარკულორტვაჭრობისა, „ბილისის სასადილოთა ტრესტების“ და სხვ.) გამოვლინებულია დიდი ნაკლოვანებები და ხარვეზები. პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ ახორციელებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას — კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის საქმიანობას, კომუნისტები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტიული და განსაკუთრებით პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ცუდად ხელმძღვანელობენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას ვაჭრობის მუშაკთა შორის. ჩვენ კი ბევრი გვყავს შესანიშნავი ადამიანები, პატიოსანი და თავიანთი საქმის ერთგული მუშაკები, რომელთა მუშაობის გამოცდილებას ცუდად სწავლობენ და განაზოგადებენ.

ახლა რესპუბლიკის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში, მათ შორის სავაჭრო საწარმოებშიც, მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის პირობებში. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები ნაკლოვანებათა გამოვლინებისათვის, გაწეული მუშაობის გულდასმით განზოგადებისათვის და კომუნისტების მობილიზაციისათვის იმ ამოცანების უსწრაფესად განსახორციელებლად, რომლებიც ჩვენმა პარტიამ დასახა ხალხის ინტერესებისათვის.

მოხსენების გამო გაჩაღებულ კამათში დაყენებულ იქნა რესპუბლიკაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების ბევრი ძირეული საკითხი. დაისახა ღონისძიებანი ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ო. გოცირიძემ** თავის გამოსვლაში მოიყვანა აფხაზეთში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარების დამახასიათებელი ციფრები. მიმდინარე წლის 9 თვეში საქონელბრუნვა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 35,7 მილიონი მანეთით გაიზარდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი ამავე პერიოდში 94 ერთეულით გაფართოვდა.

საბჭოთა მომხმარებელი გრძნობს ყველა ამ ცვლილების კეთილმყოფელ გავლენას. მაგრამ იგი გრძნობს და ამჩნევს ბევრ ნაკლსაც საავაჭრო მუშაობაში. აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო (მინისტრი ამხ. აკაბა), აფხაზკურორტვაჭრობა, აფხაზვაჭრობა, აფხაზკოოპკავშირი ჯერ კიდევ მოუქნელად, ჯეროვანი ინიციატივისა და უნარის უქონლად მუშაობენ. ბევრი მაღაზია კეთილმოუწყობელია, არ ხდება მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა, დაშვებულია საქონლის არათანაბარზომიერი შეზიდვა, იქმნება ზენორმატიული ნამეტები. ყოველივე ეს იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ საქონელბრუნვის გეგმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 10 თვეში შესრულებულია მხოლოდ 99,1 პროცენტით.

ამხ. გოცირიძე ეხება საკითხებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. დიდი ნაკლოვანებებია ცალკეული საქონლის გამოშვებისა და შეზიდვის დაგეგმვაში. ამის შედეგად ბევრი მაღაზია სავსეა ისეთი საქონლით, რომელზეც ფართო მოთხოვნილება არ არის, მაშინ როცა სხვა საქონელზე მოთხოვნილება მხოლოდ მცირეოდნად კმაყოფილდება. მყიდველები სავსებით სამართლიანად აკრიტიკებენ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ეგრეთწოდებული საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გამოშვებისადმი უყურადღებობისათვის. დაგეგმვის ნაკლოვანებანი იწვევენ აგრეთვე დიდ შემხვედრ ტვირთხიდვას. ამიტომ საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ დაგეგმვას, ამასთან დაეყრდნოთ მოსახლეობის ნამდვილ მოთხოვნილებებს.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ს. ჩხარტიშვილმა** თავის გამოსვლაში მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ საქონელბრუნვის განუწყვეტელ ზრდას საქართველოს დედაქალაქში. მიმდინარე წლის 10 თვეში თბილისის მოსახლეობას სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელში მიეყიდა 107 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

მაგრამ მთლიანად თბილისში საქონელბრუნვის გეგმის შესრულების მხრივ საქმის ვითარება დამაკმაყოფილებელი ვერ არის. 10 თვეში საქონელბრუნვის ძირითადი გეგმის შესრულებას 20 მილიონ მანეთზე მეტი დაეკლდა. განსაკუთრებით ჩამორჩენილია სამომხმარებლო კოოპერაცია. ამის მიზეზია ინიციატივის უქონლობა ბევრ სავაჭრო ორგანიზაციაში.

პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ საკმაოდ არ იბრძვიან სავაჭრო საწარმოთა ბრძოლისუნარიანობის გადიდებისათვის და სუსტად უწევენ კონტროლს მათს საქმიანობას. მოეპოვებოდა რა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ქალაქის სავაჭრო საწარმოებში ყველაფერი რიგზე ვერ არის, პარტიის საქალაქო კომიტეტმა მიმდინარე წლის სექტემბერში ჩაატარა ვაჭრობის მუშაკთა პარტიული აქტივის კრება და ოქტომბერში—მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა აქტივის კრება. ნოემბერში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამართა საზოგადოებრივი კვების მუშაკთა აქტივის კრება. ვაჭრობის მუშაკთა საქალაქო აქტივის კრების გადაწყვეტილება განხილულ იქნა ღია კრებებზე თბილისის სავაჭრო საწარმოთა ყველა 176 პარტიულ ორგანიზაციაში. გამომეღავნებულ იქნა მრავალი ნაკლი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში. მკაცრად დაგმობილ იქნენ ის პირები, რომლებიც შემჩნეული იყვნენ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევაში. ყველა ამ ღონისძიებამ უეჭველად ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანა სავაჭრო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა. ამხ. ჩხარტიშვილმა მკვეთრად გააკრიტიკა სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები გაფლანგვა-დატაცებასთან და სპეკულაციასთან არასაკმაო ბრძოლისათვის.

აღნიშნა რა საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა ქუთაისში, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. ვადაჭკორია** აგრეთვე შეჩერდა უმთავრესად ჯერ კიდევ დაუძლეველ არსებით ნაკლოვანებებზე მშრომელთა სავაჭრო მომსახურებაში. სერიოზული ხარვეზებია სავაჭრო საწარმოთა განლაგებაში: ეს საწარმოები მეტწილად თავმოყრილია ქალაქის ცენტრში. ცუდად ხორციელდება სპეციალიზაცია სავაჭრო ქსელში. არაზუსტი დაგეგმვა ხშირად იმას იწვევს, რომ ქალაქში არ იშოვნება ზოგიერთი საქონელი, რომელიც რესპუბლიკაში საკმაო რაოდენობით არის. მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში არსებული ყველა ამ ნაკლით სარგებლობენ სპეკულანტები და საქმისნები.

ახალციხის რაიკოოკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **გ. მურადოვმა** ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში, სავაჭრო ქსელის განვითარებაში, ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში. წელს რაიონში გაიხსნა ახალი მაღაზიები და სასადილოები, კეთილმოწყობილია არსებული სავაჭრო საწარმოები. მაგრამ ყოველივე ეს ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამხ. მურადოვმა გააკრიტიკა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები და პირველ რიგში ცეკავშირის გამგეობა რესპუბლიკის შორეული და მთიანი რაიონებისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის.

მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა **ო. მუსერიძემ** სწორად ცნო კრიტიკა, რაც გამოითქვა რესპუბლიკის მილიციის მუშაკების მიმართ, რომლებიც საკმაოდ ვერ ებრძვიან სპეკულაციას, გაფლანგვა-დატაცებას სავაჭრო ორგანიზაციებში. ამასთან ერთად მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგიერთი რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციები, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები წაყრუებას იჩენენ საქმისნებისა და კომბინატორებისადმი. საქმე ეხება ქართული ღვინოების ფალსიფიკატორებს, ხილის, დაფნის ფოთლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სპეკულანტებს, რომლებიც, როგორც წესი, თავიანთ „მოღვაწეობას“ ეწევიან შორს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

პლენუმზე მთელ რიგ გამოსვლებში შეეხნენ საქართველოს კურორტებზე ვაჭრობის განვითარების საკითხებს. საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის მდივანმა **ვ. ურუშაძემ** ილაპარაკა სავაჭრო ქსელის არასაკმაო გაფართოებაზე. წყალტუბო საკავშირო მნიშვნელობის სხვა კურორტებს სავაჭრო მომსახურების კულტურითაც ჩამორჩება. კურორტის ნახევარზე მეტი მაღაზია და სასადილო მოუწყობელ სათავსებშია, სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ ბევრნი არიან შემთხვევითი ადამიანები, ხშირია საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები.

ვაჭრობის განვითარების ტემპები და მისი კულტურა შესამჩნევად ჩამორჩება კურორტ ბორჯომის ზრდასაც. ამაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ნ. კახაძემ.** მან გააკრიტიკა საქართველოს კურორტვაჭრობის ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ისინი ცუდად სწავლობენ და ცუდად ითვალისწინებენ კურორტის მოსახლეობისა და დამსვენებელთა მოთხოვნილებას.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ი. კავილაძემ,** ილაპარაკა რა სოფლად ვაჭრობის ზრდაზე, ამავე დროს აღიარა სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში. საქონელბრუნვის გეგმებს ცეკავშირი მთლიანად ვერ ასრულებს. ეს შედეგია სერიოზული ნაკლოვანებებისა საქონლის დაგეგმვასა და შეზიდვაში, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლასა და დაკმაყოფილებაში. ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოთხოვნილება ავეჯზე, ჭურჭელზე, საშენ მასალებსა და სხვა საქონელზე. ცუდად არის მოწყობილი წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარითა და ინსტრუმენტით ვაჭრობაც. ამავე დროს სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებში დაგროვდა მნიშვნელოვანი ზენორმატიული ნამეტები ისეთი საქონლისა, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილება არ არის.

აჭარის ასს რესპუბლიკაში საქონელბრუნვის 10 თვის გეგმა მთლიანად წარმატებით არის შესრულებული. ამაში თავი იჩინა გარკვეულმა მუშაობამ, რაც ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გასწიეს. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა **დ. მამულაძემ** დაწვრილებით მოახსენა პლენუმს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უკანასკნელ ხანს განხორციელდა აჭარაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის, მათი სპეციალიზაციისათვის და დამნაშავე ელემენტებისაგან გაწმენდისათვის. ამასთან ერთად აჭარის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. მოსახლეობის და დამსვენებელთა მომსახურების კულტურა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

შეეხო რა ვაჭრობის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, ამხ. მამულაძე აღნიშნავს მათში ბევრი ნაკლის არსებობას. ეს პირველ რიგში ეხება კადრების შერჩევას, მათს აღზრდას, მაღაზიებში, სასადილოებში, საწყობებსა და ბაზებში მომუშავე კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას.

ამხ. მამულაძე სთხოვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბათუმში ვაჭრობის საწარმოთა მშენებლობის გაძლიერებას კურორტებზე დამსვენებელთა ნაკადის ზრდასთან დაკავშირებით.

ამხ. **ი. ხვედელიანმა** დამსწრეთ გაუზიარა ძვირფასი გამოცდილება საქარხნო სასადილოს მუშაობისა, რომელიც გადაყვანილია მომხმარებელთა მომსახურების ახალ, პროგრესულ მეთოდებზე. ამ ღონისძიებამ მთლიანად და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. გაფართოდა კერძების ასორტიმენტი, ამაღლდა მათი ხარისხი. ახლა მუშები და მოსამსახურეები სადილს 20 წუთზე მეტ დროს არ ანდომებენ. სასადილოს მუშაობის გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამხმარე მეურნეობის განვითარებამ. იგი სასადილოს აწვდის რძეს, ხორცს და სხვა პროდუქტებს.

თბილმრეწვავაჭრობის ქსელის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ნ. მეფარიშვილმა** ილაპარაკა ვაჭრობის სხვადასხვა უბანზე მომუშავე კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებაზე. პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 24 მაღაზიის კომუნისტებს. ამ მაღაზიების წლიური საქონელბრუნვის გეგმა 50 მილიონ მანეთს აღემატება. პარტიულ კრებებზე რეგულარულად განიხილავენ საქონელბრუნვის გეგმის შესრულების, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევათა აღმოფხვრის, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლების საკითხებს. ამან ნაყოფი გამოიღო იმ მხრივ, რომ ათნახევარი თვის განმავლობაში საქონელბრუნვის საერთო გეგმა შესრულებულია 109,9 პროცენტით.

ამხ. მეფარიშვილი დაწვრილებით შეჩერდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე. სუსტად ხორციელდება მისი ზრდა პატიოსანი, მოწინავე მუშაკების მიზიდვით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი **კ. ციმაკურიძე** შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში განხორციელდა ვაჭრობის განვითარებისათვის სკკპ XX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში.

მიმდინარე წლის დამდეგს მოხდა სავაჭრო სისტემის მართვის რეორგანიზაცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა სავაჭრო ორგანიზაცია ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში გადავიდა. მაგალითად, თბილისში ყველა 11 სავაჭრო ორგანიზაცია უშუალოდ დაუქვემდებარდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. ამ ღონისძიებამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ახლა უფრო კონკრეტულად მუშაობენ ვაჭრობის საკითხებზე, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები განთავისუფლდნენ ზედმეტი მეურვეობისაგან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მხრივ. მაგრამ რჩება კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხი, ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი და ხარვეზი, პირველ რიგში, სავაჭრო საწარმოების სწორად განლაგების, მათს მუშაობაში პარალელიზმის ლიკვიდაციის, მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობის კულტურის ამაღლების საქმეში.

შეეხო რა სავაჭრო ორგანიზაციების სერიოზულ პრეტენზიებს მრეწველობის საწარმოთა მუშაობისადმი, ამხ. ციმაკურიძემ პირველ რიგში აღნიშნა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები საქართველოს ფეიქართა მუშაობაში. მან გამოაქვეყნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციების მთელი რიგი წერილები, რომლებშიც აღნიშნულია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის და თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის პროდუქციის ხარისხის დაქვეითება. პროდუქციის დამუშავება და გაფორმება ცუდად არის დაყენებული საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებშიც. ეს განსაკუთრებით შეეხება ღვინოების გარეგან გაფორმებას.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ე. დუდჩენკომ** აღნიშნა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შესამჩნევი ზრდა. მიმდინარე წლის ათი თვის საერთო პროდუქციის გეგმა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 103 პროცენტით შეასრულეს. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა გაიზარდა 8,7 პროცენტით. ფართოვდება პროდუქციის ასორტიმენტი. მაგრამ ყოველივე ეს ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მზარდ მოთხოვნილებებს, და ამიტომ სავსებით სამართლიანია კრიტიკა სამინისტროსა და მისი საწარმოების მისამართით, რომლებიც სათანადოდ არ მუშაობენ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებაზე და მისი ხარისხის ამაღლებაზე. მსუბუქი მრეწველობის მუშაკები გაითვალისწინებენ ამ კრიტიკას. მაგრამ ამასთან ერთად მათ ესაჭიროებათ დახმარებაც, უმთავრესად ფეიქრებისა და მომმარაგებელი ორგანიზაციების მხრივ. მაგალითად, სამკერვალო ნაწარმის გამოშვების სეზონურობა სისტემატურად ირღვევა სათანადო ასორტიმენტის ქსოვილთა დროზე მიუწოდებლობის გამო.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ **გ. ბიწაძემ** ილაპარაკა მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში არსებული უკონტროლობის ვითარებაზე. ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის დატაცებისა, გაფლანგვებისა და სპეკულაციისათვის. ცუდად არის ორგანიზებული ვაჭრობის მუშაკთა კადრების შერჩევა. მაგალითად, ტყიბულის, ხულოს და სხვა რაიონებში ვაჭრობაში სამუშაოზე იღებდნენ ისეთ პირებს, რომლებიც წინათ პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ვაჭრობის წესების სხვადასხვა დარღვევისათვის. მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში დროულად არ აფორმებენ დამტაცებელთა და გამფლანგველთა საქმეებს და ეს შემდეგ დიდად აძნელებს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობას.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **მ. მაკაროვი.**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმისათვის დიდი მუშაობა იქნა გაწეული. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საკითხები ფართოდ იყო განხილული პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, აქტივის კრებებზე. ამის შედეგად ჩვენ გვაქვს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების მრავალფეროვანი საქმიანობის სურათი. ცალკეულ დადებით მომენტებთან ერთად სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში კიდევ ბევრია არსებითი ნაკლი. მაგალითად, სავსებით სწორად იყო დაყენებული საკითხი ხარვეზების შესახებ დაგეგმვაში, რაც დღემდე ძირითადად საქონლის მექანიკურად განაწილებით ამოიწურება.

საზოგადოებრივი კვების მუშაკთა მომავალ სრულიად საკავშირო თათბირთან დაკავშირებით ამხ. მაკაროვი შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებსაც ისახავს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის ამჟამად მიმდინარე დათვალიერება. მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებას, მოიყვანა მაგალითები მოწინავე სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან. საჭიროა ყველაზე მიგაღწიოთ იმას, რომ ვაჭრობის თვითეული მუშაკი წარმოადგენდეს თავაზიანობის, სიფაქიზის ნიმუშს, იყოს მაღალი კულტურის გამტარებელი და მისთვის მებრძოლი.

ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის **პ. კაბანოვის** გამოსვლა მიეძღვნა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას, რომელიც თავის რიგებში 590 ათას მეპაიეს აერთიანებს. მან სწორად ცნო საყვედური ცენტროსოიუზის მისამართით, რომელიც საკმაოდ არ ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს, კერძოდ, საშენ მასალებზე. მაგრამ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია მთლიანად ვერ იყენებს მის განკარგულებაში არსებულ მდიდარ რესურსებსა და შესაძლებლობებს. აუცილებელია პირველ რიგში დავაჩქაროთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და უწინარეს ყოვლისა კვერცხისა და კარტოფილის დამზადება. ცეკავშირს ყველა პირობა აქვს სასურსათო საქონლის მდიდარი დამატებითი რესურსების გამოყენებისათვის.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **პ. კოვანოვი.**

— ვაჭრობას, — თქვა ამხ. კოვანოვმა, — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში. იგი მოწოდებულია აკმაყოფილებდეს მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს, მჭიდროდ უკავშირდებოდეს სოციალისტურ წარმოებას სახალხო მოხმარებას. ვაჭრობის მუშაკები მშრომელთა დიდად მნიშვნელოვანი და უაღრესად საჭირო რაზმია.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ღრმად არის დამკვიდრებული დამოკიდებულება ვაჭრობისადმი, როგორც მეურნეობის მესამეხარისხოვანი დარგისადმი.

რასაკვირველია, ვაჭრობაში ბევრია მანკიერება და ნაკლი. ამის შესახებ პლენუმზე ყველა გამოსულმა მკაფიოდ და დამაჯერებლად ილაპარაკა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენც, პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიულ მუშაკებს, მნიშვნელოვანწილად მიგვიძღვის ბრალი, რომ ცუდად და ნელა ხდება ამ მანკიერებათა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ჩვენ ცუდად, ზერელედ ვმუშაობთ ვაჭრობის საკითხებზე, სათანადოდ არ ვაფასებთ მის დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. ეს დარგი კი, შეიძლება ითქვას, როგორც არც ერთი სხვა დარგი, განსაკუთრებით საჭიროებს ყოველდღიურ პარტიულ ხელმძღვანელობას. ვაჭრობაში ხომ ყველაზე უფრო ფეხმოკიდებულია წარსულის გადმონაშთები. ვაჭრობის მუშაკთა მრავალრიცხოვან მასაში ჯერ კიდევ არც თუ ცოტანი არიან ისეთი პირები, რომლებიც ოსტატურად ირგებენ ინტელიგენტურ ადამიანთა ფიზიონომიას, ოსტატურად ნიღბავენ „ბინძურ“ ბიზნესს, ოსტატურად ნიღბავენ „ბინძურ“ ბიზნესს. ეს ბევრს ეხმარება ეს ბევრს ეხმარება. ეს ბევრს ეხმარება. ეს ბევრს ეხმარება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე

უნგრეთში ანტიხალხური ძალებისათვის მხარდაჭერის უღირსი ცდების გამო

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1956 წლის 21 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე

ბატონო თავმჯდომარე, ბატონებო!

მე მოკლედ ვილაპარაკებ. საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გააკეთოს ზოგიერთი შენიშვნა იმ კამათთან დაკავშირებით, რომელიც გენერალურ ასამბლეაზე გაჩაღდა კუბის რეზოლუციის პროექტის გამო. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც კუბის დელეგაციამ, რომელმაც შემოიტანა თავისი ცილისმწამებლური რეზოლუცია იძის შესახებ, რომ საბჭოთა სამხედრო სარდლობა ვითომდა მასობრივად აძევებს უნგრელებს უნგრეთის ფარგლებს გარეთ, ვერც იმათ, ვინც მხარს უჭერდა ამ რეზოლუციას, ვერ შეძლეს მოეყვანათ რაიმე ფაქტები თავიანთ უსაფუძვლო მტკიცებათა დასადასტურებლად.

ამ კამათმა მხოლოდ დაადასტურა ის, რის შესახებაც გაფრთხილებას იძლეოდნენ სსრ კავშირის დელეგაცია და მთელი რიგი სხვა დელეგაციები: ყველა ეს განცხადება გაკეთებული იყო ერთადერთი მიზნით — გაეუარესებინათ საერთაშორისო ვითარება, მოეშხამათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატმოსფერო ეჭვითა და უნდობლობით, ჩამოეშორებინათ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მშვიდობის საქმისათვის ნამდვილად სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისაგან, პირველ რიგში იმ პრობლემებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის სამხედრო აგრესიასთან ეგვიპტის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ბ-ნი ლოჯი, რომელიც ცდილობდა მიშველებოდა კუბის დელეგატს, რომელმაც საქმე თავი ვეღარ მოაბა, ცოტას როდი ეცადა, რომ შეექმნა არგუმენტაციის მოჩვენებითობა. მაგრამ მის მიერ გამოყენებული ხერხი არ გამოირჩეოდა დიდი დიპლომატიური ოსტატობით. მან დაასახელა უნგრეთსა და რუმინეთში მდებარე რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტი, აგრეთვე რამდენიმე მისამართი ბუდაპეშტში, ხოლო შემდეგ თვითნებურად დაუკავშირა ისინი ლეგენდას მასობრივი გასახლების შესახებ. როგორც ჩანს, ბ-ნი ლოჯი იმედს ამყარებდა იმაზე, რომ მის სიტყვას ენდობოდნენ.

თქვენ გახსოვთ, რა ეფექტით ასახლებდა აქ ბ-ნი ლოჯი თარიღებს და მისამართებს. შესაძლებელია, რომ საქმეს გაუცნობიერ ადამიანზე ეს პათოსი ერთგვარ შთაბეჭდილებას მოახდენდა. მაგრამ უწინარეს ყოვლისა იბადება კითხვა — რა **ფაქტებს** ეყრდნობოდა ამერიკის დელეგატი? თურმე ფაქტები მის განკარგულებაში არ ყოფილა. მან შესაძლებლად მიიჩნია ამ პასუხსაგები ტრიბუნიდან გამოეყენებინა ყოველგვარი ბნელი ხმები, რომელსაც უნგრეთში ავრცელებენ გარკვეული ელემენტები გარკვეული მიზნით, და ამის შედეგად თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა.

მართლაც, თავის მტკიცებათა დასადასტურებლად ბ-ნი ლოჯი იმოწმებდა, მაგალითად, „ბუდაპეშტის ოფიციალური რადიოს“ გადაცემას 14 ნოემბრის 15 საათზე გრინვიჩის დროით. ჩვენს წინ არის ამ გადაცემის ტექსტი. რაზეა ლაპარაკი მასში? ჯერ ერთი, ეს არის არა „ბუდაპეშტის ოფიციალური რადიოს“ გადაცემა, როგორც ბ-ნი ლოჯი ამტკიცებდა, არამედ რეტრანსლაცია რეპორტაჟისა ქალაქ სონლოჯიდან, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ხდება ნორმალური მუშაობის განახლება ოლქის სამრეწველო საწარმოებში. მეორე, ამ რადიოგადაცემაში არ არის არც ერთი ფაქტი და არც ერთი პირდაპირი მტკიცება საბჭოთა კავშირში უნგრელების გასახლების შესახებ. მასში მხოლოდ ლაპარაკია ხმებზე (ზე ვიმეორებ: **ხმებზე!**) იმის შესახებ, თითქოს ბუდაპეშტიდან დახურული ვაგონებით გაიარეს პატიმრებმა აღმოსავლეთის მიმართულებით. სონლოკელი რეპორტერი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „რკინიგზელებმა თითქოს (**თითქოს!**) კვლავ დაიწყეს გაფიცვა“.

ამიგად, აქ, როგორც ხედავთ, დაშვებულია ამკარა დამახინჯება.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი შემდეგ ამტკიცებდა, რომ ეშელონებმა საბჭოთა კავშირში გასახლებული უნგრელებით გაიარეს დებრეცენსა და მიშკოლცზე და დასახელებულია კიდევაც ეშელონების გავლის თარიღები — 9, 11 და 13 ნოემბერი. ჩვენ მოვითხოვეთ ამ ფაქტების შემოწმება და მივიღეთ დებეშით შესაბამისი კომპეტენტური პირებისა და ორგანიზაციების განცხადებანი. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ზოგიერთი ეს დოკუმენტი.

დებრეცენის რკინიგზის სადგურის უფროსი იმრე ლაკო, რომელსაც თავისი თანამდებობის მიხედვით არ შეეძლო არა სცოდნოდა, რა მატარებლებმა გაიარეს მისი სადგური, იუწყება: „კანონის წინაშე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 9, 11 და 13 ნოემბრს არავითარი ეშელონები, რომლებსაც უნგრელი ტყვეები მიჰყავდა საბჭოთა კავშირში, არ მოსულა და არ ვიცი“. მატარებლის უფროსი დებრეცენის რკინიგზის სადგურიდან იოქეფ საბო ადასტურებს: „მე, იოქეფ საბო, მატარებლის უფროსი, ვაცხადებ, რომ არ მინახავს დებრეცენზე გავლით წაეყვანათ უნგრელი მოქალაქეები აღმოსავლეთის მიმართულებით“. არის აგრეთვე დებრეცენის რკინიგზელთა ბევრი სხვა ანალოგიური განცხადება. საქმე რომ ისე ყოფილიყო, როგორც ეს აქ დაგვიხატა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, დებრეცენზე ნამდვილად რომ გავლილ მატარებელს დეპორტირებული უნგრელებით, ამ მატარებლებში მყოფ ადამიანებს, როგორც მან თქვა, ნამდვილად რომ მოეთხოვათ ვაგონებიდან დახმარებოდნენ გაქცევაში, მათ ნამდვილად რომ გადაეცათ წერილები და სხვა, — ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე ადრე უნდა სცოდნოდათ დებრეცენის რკინიგზის კვანძის მუშაკებს. მაგრამ ისინი უარყოფენ ამგვარი ფაქტების არსებობას.

სწორედ ასევეა საქმე მიშკოლცშიც. აი რას აცხადებს, კერძოდ, მიშკოლცის რკინიგზის აღმასრულებელი მუშათა საბჭოს წევრი შანდორ გარადნაი, რომელიც ქ-ლაქ მიშკოლცში ცხოვრობს ვერეშმარტის ქუჩის № 128 სახლში: „ამა წლის 14 ნოემბერს შევიტყე, რომ მიშკოლცში გავრცელდა ხმები, თითქოს უნგრელი ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირში მიჰყავთ. ეს მაცნობა აგრეთვე გეზე ნიორმა, რკინიგზის მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ. მიშკოლცში საერთოდ ბევრს ლაპარაკობდნენ ამაზე. ამაზე მე ვუპასუხე ხალხს, რომ ეს ხმები უნდა შემოწმდეს. ამ მიზნით ველაპარაკე სადგურის უფროსს, რათა შემეტყო მისგან, სად იყო სიმართლე. მან მიპასუხა, რომ ხმები არ შეესაბამება სინამდვილეს. მე ვთხოვე სადგურის უფროსს, რომ მას ეცნობებინა საოლქო საბჭოსათვის. ძე მას ეაცნობე, რომ ბორშოდის მუშათა საბჭოს აგრეთვე აინტერესებს ეს საკითხი, რადგან ქალაქში გავრცელებულია ამგვარი ხმები და მე მინდა რადაითი გამოვიდე და ვილაპარაკო სიმართლეზე“.

მოქალაქე შანდორ გარადნაიმ შეამოწმა უნგრეთიდან უნგრელი ახალგაზრდობის ვითომდა გასახლების ხმები და დარწმუნდა, რომ მათ არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ. ამის შედეგად იგი კატეგორიულად აცხადებს: „ყოველივე ამის შემდეგ მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში ახალგაზრდობის წაყვანის ხმები პროვოკატორთა მონაგონია. ადამიანები ცდილობენ უნგრელი მშრომელები აამხედრონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

როგორც ჩანს იმ მიზნით, რომ თავისი გამოსვლისათვის დრამატული ხასიათი მეცა, ბ-ნი ლოჯი აქ ამტკიცებდა თითქოს ბუდაპეშტიდან გზავნიდნენ ჰოსპიტალში მყოფ ტაჭილებსა და მოსწავლეებსაც კი. მან დაასახელა კადეკვაც ვერეშმარტის სკოლა. აი რას აცხადებენ ამის გამო პასუხისმგებელი კომპეტენტური პირები. ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს მუშაკი შანდორ აბრანი, რომელიც სკოლის საკითხებს განაგებს, იტყობინება: „ხმების საწინააღმდეგოდ, ჩვენ, დედაქალაქის საბჭოს მე-10 სასწავლო განყოფილებას, არა გვაქვს ცნობები კონკრეტული შემთხვევების შესახებ, აგრეთვე არ მიგვიღია არავითარი ცნობა ან ინფორმაცია ისეთი კონკრეტული შემთხვევების შესახებ, რომ ვერეშმარტის სკოლის მოსწავლეები დაეპატიმრებინოთ ან სადმე წაეყვანოთ“.

ბოლოს, ქალაქ ბუდაპეშტის მერმა კალმან პონგრაცმა თავის მოვალეობად მიიჩნია გაეკეთებინა შემდეგი განცხადება: „უნგრეთში კონტრრევოლუციის დამარცხების შემდეგ კონტრრევოლუციონერები გამოდიან ახალი იარაღით — ცილისწამებით, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მეგობრობას, აგრცელებენ ხმებს...

12 ნოემბერს, აცხადებენ ცილისმწამებლები, საბჭოთა ჯარებმა ვითომდა ხელთ იგდეს ახალგაზრდობა და დაჭირეს აჯანყებულები ჰოსპიტლებში და წაიყვანეს ისინი საბჭოთა კავშირში. ეს რომ სულელური ცილისწამებაა, ჩვენთან ყველამ იცის, და კონტრრევოლუციონერებს არ შეუძლიათ და ვერც შეძლებენ თუნდაც ერთადერთი კონკრეტული მაგალითით განამტკიცონ ეს მონაგონი. ამ სულელური სიცრუისა და ცილისწამების მიზანია არა სამართლის თქმა ფართო საზოგადოებრივი აზრისათვის, არამედ ცდა დამალონ რეაქციის დამარცხება. ბუდაპეშტის მოსახლეობას სურს მშვიდობა და მყუდროება, სურს იცხოვროს უშიშრად და არა სურს, რომ დაბრუნდეს ის დრო, როცა არ იყო უზრუნველყოფილი სიცოცხლის უშიშრობა და ქონების მთლიანობა, ის დრო, როცა კონტრრევოლუციონერებმა გაათელეს პიროვნების თავისუფლების ყველაზე ელემენტარული ცნებები.

უკვე საკმაო სიცრუე იყო. დაე მოგვცენ შესაძლებლობა მშვიდობიანად ვიცხოვროთ, რომ მოკლე დროის განმავლობაში შევასრულოთ ჩვენი ამოცანა და აღვადგინოთ ბუდაპეშტი. გთხოვთ ამ საქმეში გაგვიწიოთ დახმარება, რათა ასე უხეშად აღარ გვწამებდნენ ცილს. დაე ნუ ცდილობენ გაამნელონ ჩვენი მრავალტანჯული ხალხის მშვიდობიანი განვითარება, დაე ცილს ნუ სწამებენ იმ ქვეყანას, რომელიც ყოველნაირ დახმარებას გვიწევს, — საბჭოთა კავშირს“.

შემდეგ არის ხელმოწერა — კ. პონგრაცი, ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ასეთია ფაქტები. და ეს ფაქტები მკვეთრმეტყველურად გამოდიან ბ-ნი ლოჯის წინააღმდეგ. გაასაღა რა შეუმოწმებელი ხმები სარწმუნო ცნობებად, იგი როგორც ხედავთ, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელიც დასაშვები არ იყო ისეთ მაღალ ინსტანციაში, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი შემდეგ ამტკიცებდა თითქოს ასეულ მილიონობით დოლარს, რომელიც ამერიკის კონგრესმა გადადო ეგრეთწოდებული კანონით „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის შესახებ“, იმისათვის იყენებდნენ, რომ „აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეთ კუჭი გაუძღონ საჭმლით“. ისეთი ჯიუტი რამ როგორიც ფაქტია, იმას მოწმობს, რომ ნამდვილად ხსენებული კანონით ასიგნებულ სახსრებს სრულიადაც არ იყენებენ ადამიანთა საკეთილდღეოდ, ამ სახსრებს იყენებენ სულ სხვა ანტიხალხური, ბნელი მიზნებით.

აი რას წერენ მნახველნი — საბჭოთა ჟურნალისტები ვ. შჩეგოლევი და მ. მაკოვეევი, რომლებიც იყვნენ კონტრრევოლუციონერებისათვის ჩამორთმეული იარაღის ერთ-ერთ საწყობში: „ჩვენ განგაცვიფრა უამრავმა სხვადასხვაგვარმა სიკვდილის იარაღმა, რომელიც გამოიყენეს უნგრელი პატრიოტების, კომუნისტების, მოწინავე მუშების, სახალხო უნგრეთის აქტივისტების წინააღმდეგ. გრძელ, ვრცელ პაკაჟზში დიდ შტაბელებად ეწყო ათასობით შაშხანა, კარაბინი, ავტომატი, ტყვიამფრქვევი, პისტოლეტები და რევოლვერები სულ სხვადასხვაგვარი სისტემისა და მარკისა. აქ გვიჩვენეს ამერიკული თვითგასატენი კარაბინებიც, „მგ-34“ და „მგ-42“ მარკის გერმანული ხელტყვიამფრქვევებიც, გრძელლულიანი პარაბელუმებიც, ამერიკული კოლტებიც, ავსტრიული ბასყერებიც, ბელგიური ბრაუნინგებიც, გერმანული ვალტერებიც. მთელი ეს იარაღი საზღვარგარეთიდან შეიტანეს უნგრეთში. გამხეცებული ბანდიტები ამ ტყვიამფრქვევებითა და შაშხანებით, ავტომატებითა და პისტოლეტებით ხვრეტდნენ უნგრეთის ქალაქებისა და სოფლების მშვიდობიან მცხოვრებთ, ხოცავდნენ უმწეო ყალებსა და ბავშვებს. ამ იარაღს იყენებდნენ ისინი და ძარცვავდნენ მაღაზიებს, თავს ესხმოდნენ საავადყოფოებსა და ჰოსპიტლებს, ჩადიოდნენ საზიზღარ ბანდიტურ საქმეებს“.

დასასრულ, არ შეიძლება ბ-ნმა ლოჯმა არ იცოდეს, რომ აქ, ნიუ-იორკში, არსებობს „უნგრეთისათვის იარაღის მიმწოდებელი საგანგებო კომიტეტი“, რომელმაც თავს ნება მისცა საჯარო მიტინგიც კი გაემართა კვირას, 11 ნოემბერს, შატო-გარდენსის შენობაში. ამ კომიტეტმა აქტიური საქმიანობა გააჩაღა, რათა, როგორც ნათქვამია მის რეზოლუციაში, უზრუნველყოს, რომ „დაუყოვნებლივ მიაწოდონ ყველა გვარეობის იარაღი ყოველი შესაძლებელი გზით“ უნგრელ მეამბოხეებს.

ცდილობდა რა გაემართლებინა ამერიკის კანონი ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის ასიგნებათა შესახებ, კანონი, რომელსაც პრეზიდენტი არ მოუპოვება სხვადასხვა სახელმწიფოს ისტორიაში და რომელიც აქ სამართლიანად გააკრიტიკეს, ბ-ნმა ლოჯმა ამაოდ შეაწუხა დიდი ამბრაამ ლინკოლნის აჩრდილი. ცნობილია, რომ ლინკოლნი იბრძოდა მონათმფლობელთა წინააღმდეგ, გამოხატავდა რა თავისი ეპოქის პროგრესულ ტენდენციებს. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც ამ ტრიბუნიდან მოვისმინეთ, ბ-ნი ლოჯი და მისი თანამოაზრენი იცავენ უნგრეთის და არა მარტო უნგრეთის ყველაზე რეაქციულ ანტიხალხურ ძალებს, რომლებმაც მოუპოვეს თავისი დრო.

ნეტარსმეტი სითამამე ხომ არ არის ეს, რომ ამერიკის დემოკრატიის ნამდვილად კეთილშობილური ტრადიციები დაიმოწმო, რათა დაიცვა ტატფარი რეაქცია და მიმართო ლინკოლნის დიდ სახელს, რომ გაამართლო ასიგნებანი ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის?

თუ ბ-ნი ლოჯი მაინც ცდილობდა ელაპარაკა აქ იმაზე, რომ იგი დემოკრატიის მომხრეა, მისმა თანამოაზრემ უნგრეთის საკითხში ესახელთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი თქვა ასეთ შენიშვნაზე. და ეს შემთხვევითი რაღაა. ბ-ნ არტახოს საჭიროდ არ მიაჩნია დამალოს თავისი ყველასთვის კარგად ცნობილი ძველი სიმპათიები. მან აქ 1956 წლის ბუდაპეშტი 1936 წლის მადრიდს შეადარა. ეს ნამდვილად საგულისხმო პარალელია, რადგან ბუდაპეშტში, ისევე როგორც მადრიდში, ხალხის ჯანსაღი ძალები, პროგრესის ძალები ფაშიზმის შავბნელ ძალებს დაუპირისპირდნენ. მაგრამ, თუ მადრიდში ფაშისტებმა ჰიტლერისა და მუსოლინის დახმარებით გამარჯვება მოიპოვეს და უბედურებისა და უუფლებობის მორევში გადაჩეხეს ხალხი, ბუდაპეშტში ფაშისტები განადგურებულ იქნენ. და, როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოება აწუხებს ახლა ასე ესპანეთის დელეგატს.

ბ-ნი არტახო მზად არის კიდევ უფრო შორს წავიდეს, ვიდრე კუბის დელეგაცია. იგი ცდილობს მოქმედოს მიმართოს, აცხადებს რა, რომ უკადურეს ღონისძიებათა მომხრეებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეუძლიათ „ესპანეთის მთავრობის სიმტკიცისა და გაბედულების იმედი იქონონ“. თუ ამ აგრესიული ტონის მიხედვით ვიმსჯელებთ, მადრიდში, როგორც ჩანს, ზოგ ვინმეს უკვე ავიწყდება „ცისფერი დივიზიის“ სავალალო გამოცდილება. ამგვარ გამოსვლებს თითქოს ბევრი უნდა გამოეეფხილებინა და განსაკუთრებით იმ ქვეყნების წარმომადგენელნი, რომლებმაც არც თუ ისე დიდი ხანია, რაც გამოიარეს მეორე მსოფლიო ომის წლების ძმეი გასაცდელი. დანიის წარმომადგენელმა აქ გაიხსენა, თუ რა გამირვება განიცადა მისმა ქვეყანამ ჰიტლერული ოკუპაციის გამო. ბ-ნმა პინომ ილაპარაკა ბუხენვალდის საშინელებებზე. მაგრამ განა დანის ტერიტორიის ნაწილი იმ საბჭოთა არმიამ არ გათავისუფლა თავისი ხელოვნური წყლილი მაიდანეკების, ოსვენციმების და ბუხენვალდებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში?

ბატონი პინო, ბატონი სპაააკი თავიანთ პირველ გამოსვლაში და ზოგიერთი სხვანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი სოციალისტები არიან. მაგრამ როგორ ეგუება მათი სოციალისტური რწმენა იმ ფაქტს, რომ ისინი ბატონ არტახოსთან ერთად იცავენ ფაშისტ შეთქმულებს უნგრეთში? რატომ ვერ პოვეს მათ თუნდაც ერთი სიტყვა იმ საშინელი მხეცობის დაგმობად, რაც კონტრრევოლუციურმა მეამბოხეებმა ჩაიდინეს ბუდაპეშტში და უნგრეთის სხვა ქალაქებში? ეს მხეცობა ხომ ალბენდილია ასობით ფოტოსურათით მათთვის ხელმისაწვდომ ეურნალებსა და გაზეთებში!

ბატონმა მარტინმა აქ განავითარა სამართლის თვალსაზრისით რამდენადმე მოულოდნელი არგუმენტი. იგი ცდილობდა დაეტრწმუნებინეთ, რომ საკითხს მეამბოხეთა იდეოლოგიისა და მათი განზრახვების შესახებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამით იგი ავანსად შეუდგობს ცოდვებს ამ ანტიხალხური ამბოხების მონაწილეებს, რომელიც ფაშისტური ტერორისა და უუფლებობის ყაოსს უქადდა უნგრეთს. ფაშისტური ტერორის მსხვერპლნი, იმ ათასობით ადამიანთა ნათესავები და ახლობლები, რომლებიც კონტრრევოლუციური პუტჩის მონაწილეთა ხელით დაიღუპნენ, არასოდეს არ დაეთანხმებიან საკითხის ასე დაყენებას.

ბატონებო! უნგრეთში ფაშისტური პუტჩის ორგანიზატორთა შორის გამიზნული ვარაუდები უნიადაგო აღმოჩნდა. უნგრელი ხალხი ღირსეულად აღწევს თავს განსაცდელს, აღადგენს რა ნორმალურ ცხოვრებას. საერთაშორისო რეაქციამ ვერ შეძლო გაებზარა სოციალისტური სახელმწიფოების სისტემა, და ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ მხრები ვიჩეჩოთ, როდესაც ბატონი ლოიდი და ზოგიერთი სხვა ორატორი სრულიად მოულოდნელად იწყებენ მსჯელობას იმაზე, თითქოს უნგრეთის ამბებმა შეიძლება შეარყიოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობა. ამაზე ბ-ნ ლოიდს შეუძლია არ შეწუხდის. რეაქციის მზარდი იერიშები, გააფთრებული დევნა, რასაც ამჟამად მთელ მსოფლიოში ეწევა კაპიტალისტური მონოპოლიების პრესა კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, მხოლოდ ხელს უწყობენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შემჭიდროებას და კონსოლიდაციას, აწრთობენ მას.

ამრიგად, კამათმა უნგრეთის ამბების შესახებ, რაც ასამბლეას თავს მოახვიეს იმ ვარაუდით, რომ განეზორციელებინათ ფართო პოლიტიკური ოპერაცია, მიმართული სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, ვერ მოიტანა ის შედეგები, რომლის იმედიც ჰქონდათ მის ორგანიზატორებს. მან მხოლოდ ხელი შეუწყო „ცივი ომის“ აღდგენის გეგმების მხილებას.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე ის არის, რომ ეს კამათი გამოიყენონ უხამსი პოლიტიკური სპეკულაციისათვის სეროიზულად ლახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟს. ბოლომდე ესმით თუ არა იმათ, ვინც მოაწყო ეს კამათი, საათ მიჰყავთ საქმე? საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ათობით ქვეყანას აერთიანებს, ვერ დაადგება სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის სხვა ჯგუფისათვის დაპირისპირების გზას, იდეოლოგიურ ბრძოლებზე დაფუძნებული შეღლის გამწვავების გზას.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ კუბის დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუცია პროვოკაციაზეა აგებული და უარყოფილ უნდა იქნას ისევე, როგორც მისი შესაწორებები, რომლებიც არაფერს არ ცვლიან მის არსში. ამიტომ ჩვენ ხმას მივაცემთ ამ რეზოლუციის წინააღმდეგ.

რამდენიც დღეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ დარბაზში, აგრეთვე მთელ კაპიტალისტურ პრესაში განზრახან აღვიძებენ ენბათაღელვას ეგრეწოდებული „უნგრეთის საკითხის“ გარშემო. ყოველივე ეს რომ უნგრეთის სასარგებლოდ არ ხდება, უკომენტარიოდაც გასაგებია. უნგრელ ხალხს ახლა ესაჭიროება ერთადერთი რამ — რომ მას მიეცეს შესაძლებლობა მოაგვაროს ცხოვრების ნორმალური პირობები ქალაქად და სოფლად, განმტკიცოს წესრიგი და სიმშვიდე მთელ სახელმწიფოში და რომ გათავდეს სოციალისტური უნგრეთისადმი ის ულირსი ცილისწამება, რომელსაც შავბნელი რეაქციული ძალები ეწევიან.

განა ამკარა არ არის, რომ აღვირახსნილ ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა ისტერიას შემთხვევით როდი აძლიერებენ? დილიდან გვიან საღამომდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიმდინარეობს განხრახვა გამწვავებული კამათი ხან უნგრელთა მითითები „დეპორტაციის“ შესახებ, ხან გენოციდის შესახებ, ხოლო ამ კვამლის ფარდის საფარით იმპერიალისტური აგრესიის ძალები ამზადებენ ახალ საშიშ გეგმებს, რაც ეს-ეს არის ამ ტრიბუნიდან გვითხრა სირიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბ-ნმა ზეინ ედ-დინმა.

მან აქ განაცხადა, რომ ამ უკანასკნელ დღეებში მიმდინარეობს აგრესორის ჯარების გაძლიერებული კონცენტრაცია ისრაელ-სირიის და ისრაელ-იორდანის საზღვრებზე. სირიის ცაში ფრქვევენ დფრინველენ სხვისი თვითმფრინავები. ეს ფაქტები მრავლისაგე გაფრთხილებაა, რომელსაც გვიხდს ვერ აუვლის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

განა არ არის დრო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მობრუნდეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი და ნამდვილად გადაუდებელი პრობლემებისაკენ, და უწინარეს ყოვლისა პრობლემებისაკენ, რომლებიც დაკავშირებულია ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიასთან ეგვიპტის წინააღმდეგ? აგრესორთა ჯარები ხომ ჯერ კიდევ ეგვიპტის ტერიტორიაზე იმყოფებიან. და ახლა ჩვენ აქ გვესმის სულ უფრო საგანგაშო ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ იმპერიალისტური აგრესიის შავბნელი ძალები ამზადებენ სამხედრო აქციებს არაბთა სამყაროს სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგაც. სწორედ ეს საკითხები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საკდესი უარყოფს

ამერიკის იუნაიტედ პრესისა და ასოშიეიტედ პრესის სააგენტოებმა გავრცელეს ცნობები, რომ თითქოს საბჭოთა კავშირმა უნგრეთში შეიყვანა 20 ახალი ქვეითი დივიზია და რომ საბჭოთა ჯარები უნგრეთსა და რუმინეთში თითქოს წინ მიიწევენ იუგოსლავიის საზღვრისაკენ. ამ ცნობებში ამტკიცებენ აგრეთვე თითქოს საბჭოთა ჯარები გადასხდნენ ბულგარეთის შავი ზღვის ნავსადგურში.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამერიკელ-ინგლისელ სააგენტოების ეს ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს. [illegible] საბჭოთა კავშირისადმი [illegible] გაწყობილი წრეების ბოროტი, პროვოკაციული მონაგონი, რომელნიც მიზნად ისახავენ გაართულონ საერთაშორისო ვითარება და ძირი გამოუთხარონ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

გაიხსნა ოლიმპიური ასპარეზობა

მელბურნი, 22 ნოემბერი. (**საკდესი. სპეც. კორ.**). დღეს მელბურნის მთავარ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა XVI ოლიმპიური ასპარეზობა.

სტადიონი 100 ათასზე მეტ კაცს იტევს. ადგილმრავი დროით ნაშუადღევის სამ საათზე ხალხით გაივსო სტადიონის ტრიბუნები, რომლებიც მორთული იყო ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ალმებით.

დაიწყო სპორტსმენთა პარადი. სტადიონის მოედანზე, ოლიმპიადის ტრადიციის მიხედვით, პირველნი შემოვიდნენ საბერძნეთის სპორტსმენები. მაყურებელნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ სპორტული დელეგაციების გამოჩენას სტადიონზე. თვითეული დელეგაციის წინ მედროშეებს მოაქვთ თავიანთი ქვეყნების სახელმწიფო ალმები, მოდიან ავსტრალიის, არგენტინის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, უნგრეთის, ინდოეთის, იაპონიის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების გუნდები. მაყურებელნი ტაშს უკრავენ სპორტსმენებს. სტადიონზე საბჭოთა დელეგაციის გამოჩენას მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. სპორტსმენთა კოლონის წინ მოაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო ალმი.

სტადიონზე უკანასკნელმა გაიარა ავსტრალიის სპორტსმენთა კოლონამ. სპორტსმენები დეწყვნენ მოედანზე. მას შემდეგ რაც ედინბურგის ჰერცოგმა, რომელსაც სტადიონზე შეხვდნენ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი მენზისი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბრენდეჯი, საორგანიზაციო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ჰიუზი და სხვა ოფიციალური პირები, გახსნილად გამოაცხადა XVI ოლიმპიური ასპარეზობა, ზეიმით აღიმართა ოლიმპიური ალმი. ჰაერში აფრინდა ასობით მტრედი.

სტადიონის ბოლიკზე მოდის სპორტსმენი, რომელსაც ოლიმპიური ჩირაღდანი მოაქვს. ეს არის ავსტრალიელი ახალგაზრდა ჩემპიონი 1 მილზე რბენაში რონ კლარკი. ოლიმპიური ცეცხლი ტრადიციულად საბერძნეთში დაანთეს და შემდეგ დიდი გზა განვლო მრავალ ქვეყანაში ავსტრალიამდე. სპორტსმენი ავიდა ტრიბუნაზე და ჩირაღდანი ანთო მთავარ სტადიონზე. ასრულებენ ოლიმპიურ ჰიმნს. დაიწყო სპორტული ასპარეზობა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარება.

ჭადრაკი

XXIV ჩემპიონატის ნახევარფინალი

მესამე ტური, რომელიც 21 ნოემბერს გაიმართა, მშვიდობიანი ყაიმების ტური იყო. ამ დღეს ყაიმით დამთავრდა ექვსი პარტია. მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო გროსმაისტერების კორჩნოის და პეტროსიანის შეხვედრები ოსტატობის კანდიდატებთან ვორონკოვთან და იუხტმანთან. ოსტატობის ორივე კანდიდატმა ძლიერად ითამაშა და მე-19 სვლაზე ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გურგენიძე-ფურმანის, გიორგაძე-ზურაბოვის, ანტოშინ-კასპარიანის და ტალ-კობლენცის პარტიები.

ბუსლაევი დამარცხდა სახაროვთან. დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია კროგიუსმა პოლუგაევსკისთან. ორი პარტია გადადგა.

მეორე ტურიდან გადადებულ პარტიაში ფურმანი და იუხტმანი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ მოხდა გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშება. პირველი ტურიდან გამოტოვებულ პარტიაში იუხტმანი და ზურაბოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ჩუკაევი პარტიის განუახლებლად დანებდა კოტკოვს. სულ სამი სვლა გაკეთდა გიორგაძე-კობლენცის და ხალილბეილი-გუფელდის პარტიებში. პირველ პარტიაში გაიმარჯვა კობლენცმა, ხოლო მეორეში — ხალილბეილმ.

პარტიის გაუთამაშებლად ყაიმზე შეთანხმდნენ კროგიუსი ჩუკაევთან და კოტკოვი კროგიუსთან. ოთხსათიანი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა აგრეთვე კობლენც-ხალილბეილის პარტია.

ძალიან საინტერესოდ წარიმართა საერთაშორისო ოსტატის კასპარიანის და ოსტატობის კანდიდატის ბუსლაევის პარტია. გადადებულ პოზიციაში ლაზიერების ენდშპილში კასპარიანს პაიკი აკლდა, მაგრამ მუდმივი ქიშის საშიშროების გამო პარტიის მოგება ბუსლაევისთვის რთული იყო. მიუხედავად ამისა, ბუსლაევმა ზუსტი თამაშით პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

სამი პარტია არ გათამაშებულა.

სამი ტურის შემდეგ წინ არიან: ანტოშინი, კროგიუსი, ხალილბეილი და კობლენცი, რომელთაგ 2-2 ქულა აქვთ. გურგენიძეს აქვს 1½ ქულა და ერთი გადადებული პარტია მოსაგებ მდგომარეობაში.

დღეს გათამაშდება მეოთხე ტური.

ქ. გოგიაშვა.

ქალთა ჩემპიონატი

ლენინგრადი, 22 ნოემბერი. (**საკდესის სპეც. კორ.**). ჭადრაკში ქალთა სრულიად საკავშირო პირველობის მეხუთე ტურში ნ. გაფრინდაშვილი თამაშობდა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის,